www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 24 დეკემბერი, 2009 წელი. №281 (2319) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პაქსასი ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჩამოაგდო?
A8



კალაძის "ქალაქური" პერსპექტივა
A13



გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A4

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA
HYUNDAI

# საფრთხე ოკეანის გაღმიდანაც ჩანს

დიმიტრი ავალიანი

*ვაშინგტონში საქართველოსთვის შეიარაღების გადაცემას მოითხოვენ. ასეთი ინიციატივით "რესპუბლიკელი" სენატორები გამოდიან. ისინი ასევე შეშფოთებას გამოთქვამენ საფრანგეთის გეგმების გამო, რუსეთისთვის თანამედროვე სამხედრო ხომალდის მიყიდვის შესახებ. "რესპუბლიკელების" მოწოდებები კრემლისთვის ღია გამოწვევა გახდა. "საფრთხე, რომელიც რუსეთიდან საქართველოს ემუქრება, მთელი რეგიონის დესტაბილიზაციის საშიშროებას შეიცავს," - აცხადებს სენატორი რიჩარდ ლუგარი.*

"რესპუბლიკელმა" სენატორებმა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდება მოსთხოვეს. ამ საკითხზე მოხსენება სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გავლენიანმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა წარადგინა. ლუგარს რუსეთთან მოლაპარაკებების საქმეში ბარაკ ობამას ერთ-ერთ წამყვან მრჩევლად მიიჩნევენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



# მხოლოდ "7 პ პ" ძველი "25 პ პ"-დან

## თუმანიშვილის თეატრში პრემიერისთვის ემზადებიან

*ნუ დავიბნევით! საქმე იმ შვიდ პატარა პიესას ეხება, რომელიც ამჯერად უკვე მსახიობმა და რეჟისორმა ზურაბ გეწაძემ სპექტაკლისთვის იმ 25 პატარა პიესას შორის ამოარჩია, რომლებიც ლაშა ბუღაძემ 10 წლის წინ დაწერა და 2006 წელს წიგნად გამოსცა. ზურაბ გეწაძემდე ბუღაძის ამ დრამატურგიული ოპუსებით ჯერ "მხატში" დაინტერესდნენ, შემდეგ რუსთაველის თეატრში. როგორც ერთგან, ისე თბილისში სპექტაკლები შედგა. მართალია, 25 პიესას შორის არჩევანს ყველა თავისებურს და თავისებურად აკეთებდა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, ლაშა ბუღაძის ეს მცირე ზომის, დაახლოებით ხუთწუთიანი ტექსტები რეჟისორებსაც იზიდავს და მკითხველსაც, რომელმაც თავის დროზე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის "25პპ" სულ სიცილ-ხარხარით ჩაიკითხა.*

სოფო კილასონია

25, 26 და 27 დეკემბერს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი 2009 წლის თეატრალურ სეზონს პრემიერებით დაასრულებს. ზურაბ გეწაძეს, რომელმაც ეჟენ იონესკოს ერთ-ერთი "მელოტი მომღერალი ქალის" დადგმით, უკვე როგორც რეჟისორმა თავი ბევრს დაამახსოვრა, დრამატურგები კი თურმე დააიმედა, ქართულ თანამედროვე ტექსტებზე მუშაობით საზოგადოებასთან დიალოგში შესვლას აპირებს, ოღონდაც ერთი მიზეზით, მათი გამოფხიზლების სურვილით.

ვისაც ბუღაძის რამდენიმე, თუნდაც ნებისმიერი პიესა მაინც აქვს წაკითხული, კარგად მიხვდება, რომ ამ ტექსტების ინსცენირებით საზოგადოების კრიტიკული მხარეების წარმოჩენა, თუ როგორც რეჟისორმა აღნიშნა, მისთვის სილის გაწნა, რთული მისაღწევი არ არის, საზოგადოების კრიტიკა თუ სხვადასხვა სოციალურ-მენტალური საკითხებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ამ ტექსტების უმთავრესი მისიაა. თუმცა საქმე არ გვაქვს უბრალოდ აგრესიულ, ეპატაჟურ და პლაკატურ ტექსტებთან, სულაც არა. ავტორს აქვს თავისი ენა, ღია სისტემა ქვეტექსტებით, წესებით და მოთხოვნებით, რომელთა დარღვევასაც ერთნაირად აპროტესტებს როგორც თავად ავტორი, ისე მისი ტექსტები, რომლებსაც გამძაფრებული კონკრეტიკისა და აქცენტების გამო, კონტექსტის შეცვლა იშვიათად თუ უხდებათ.

გაგრძელება A10 გვერდზე



## ევროსაბჭოს გენერალური მდივანი მოსკოვშია

ევროპის საბჭო კვლავ ცდილობს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეაღწიოს. ამის შესახებ, ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორნბიორნ იაგლანდმა გუშინ "ინტერფაქსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"ჩვენ ვერ დავუშვებთ ადამიანის უფლებებთან მიმართებაში ევროპაში "შავი ხვრელის" წარმოქმნას. ამიტომ ვცდილობთ, ამ ორ განდგომილ რესპუბლიკაში შესვლა შევძლოთ", - განაცხადა იაგლანდმა.

**ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ვიზიტით მოსკოვში იმყოფება, სადაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს და ხელისუფლების სხვა პირველ პირებს შეხვდა.**

## პროტესტი წმინდა სინოდს

გუშინ მამა ზაზა თევზაძემ და ბასილ კობახიძემ პრესკონფერენცია გამართეს, სადაც წაიკითხეს საპროტესტო მიმართვა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისადმი:

2009 წლის 22 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრება, რომლის დადგენილების ერთი მუხლი საუბრობს საზოგადოების ნაწილის მიერ კათალიკოს-პატრიარქისადმი დასმულ კითხვებზე და ამ საკითხისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემებზე. წმინდა სინოდის შეფასება შემდეგია: "არიან ძალები, რომელთაც არ სურთ ეკლესიის მთლიანობა და სისავსე, არ სურთ ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების დაცვა."

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე საპატრიარქომ ოფიციალურად განაცხადა, რომ კითხვების დამსმელ ადამიანებს არ თვლის საზოგადოების წევრებად და პასუხის ღირსად. მაგრამ, წმინდა სინოდის კრება თავადვე აცხადებს, რომ: "ბოლო დროს, სასულიერო პირების გამრავლებამ, სიკეთესთან ერთად, გარკვეული სურთულეებიც შექმნა", ანუ საპატრიარქო ნაწილობრივ მაინც აღიარებს ეკლესიის წიაღში არსებული პრობლემების შესახებ დასმული კითხვების ლეგიტიმურობას. თუმცა, წმინდა სინოდი ანტიეკლესიურ კამპანიად აფასებს აღნიშნულ პროცესებს, რომლებიც სინამდვილეში ეკლესიის გაჯანსაღებისკენ არიან მიმართული.

უმწვავესი პრობლემების შესახებ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს წმინდა სინოდი "სიცრუეს, შეურაცხყოფას და საზოგადოებაში განხეთქილების შეტანის მცდელობას" უწოდებს. წმინდა სინოდი პირდაპირ ემუქრება ქართულ სახელმწიფოსა და მასმედიას, რათა უპირველეს ყოვლისა სახელმწიფომ ჩანასახშივე ჩაკლას ეკლესიაში არსებულ სიტუაციაზე საჯარო მსჯელობა და დებატები. სინოდის დადგენილებაში ნათქვამია: "სამწუხაროა, რომ მიმდინარე პროცესებში მასმედიის ის საშუალებებიც იღებენ მონაწილეობას, რომელნიც ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებიან... პროცესები თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით შესაბამისი ნაბიჯები გადავდგათ, რათა დავიცვათ ჩვენი ეკლესიისა და ერის ღირსება." ეს ტექსტი პირდაპირ მოუწოდებს სახელმწიფოს ჟურნალისტებსა და ჩვენზე რეპრესიების განხორციელებისაკენ, ხოლო ამ რეპრესიებზე უარის თქმის შემთხვევაში სინოდი "ეკლესიისა და ერის ღირსების დასაცავად" უკვე პირდაპირ სახელმწიფოს ემუქრება.

გამოვხატავთ უკიდურეს აღშფოთებას და ვაპროტესტებთ წმინდა სინოდის ამ ანტიქრისტიანულ და ანტისახელმწიფოებრივ დადგენილებას.

## ქუთაისს ახალი მერი ჰყავს

ქუთაისის მერად გუშინ ადგილობრივმა საკრებულომ გიორგი თევდორაძე აირჩია. ის ერთადერთი კანდიდატი იყო, ვინც საკრებულოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, 15-კაციანმა საკრებულომ ახალი მერი 12 ხმით აირჩია. გიორგი თევდორაძემ დეპუტატებს ნდობისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მერის პრიორიტეტი სოციალურად დაუცველი ადამიანების თანადგომა იქნება.

"ქუთაისში არ იქნება არც ერთი მაღალი კორპუსი გადაუხურავი, ყველა ქუჩაზე იქნება კარგი გზა და გარე განათება. გადაწყდება წყლის პრობლემა, ქალაქი ნამდვილად უპასუხებს იმ გამოწვევებს, რასაც ქვეყნის მეორე დედაქალაქი ითვალისწინებს".

გიორგი თევდორაძე 34 წლის არის. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. იგი "ნაციონალური მოძრაობის" წევრია. 2004 წლიდან 2007 წლამდე იმერეთის ვიცე- გუბერნატორი იყო. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქუთაისში თავდორაძე რიგით მერვე მერია, მანამდე ეს პოსტი ნუგზარ შამუგიას ეკავა. იგი თანამდებობიდან მიმდინარე წლის 8 დეკემბერს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკის შემდეგ გადადგა..

გაზეთი "24 საათი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის თანამშრომლის ნინო ყაველაშვილის დედა

ელისაბედ სულხანიშვილი.

გაზეთი "24 საათი" თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

# გია თორთლაძე საკანონმდებლო ინიციატივას არ თმობს

*ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ პარლამენტს "თავისუფლების ქარტია" წარუდგინა. კანონპროექტი, რომელიც მის მიერვე ინიცირებული ე.წ. ლუსტრაციის შესახებ კანონისა და პატრიოტის აქტის პრინციპებს აერთიანებს, საკანონმდებლო ორგანოში უკვე დარეგისტრირებულია. გია თორთლაძე იმედოვნებს, რომ ამჯერად მაინც ქარტიის დამტკიცებას პარლამენტში წინ აღარაფერი დაუდგება.*

თამარ ივანიძე

ლუსტრაციის აუცილებლობაზე გია თორთლაძემ ჯერ კიდევ 2009 წლის ზაფხულში დაიწყო აქტიურად საუბარი, საშემოდგომო სესიაზე კი წარადგინა კანონპროექტი, რომლის ოფიციალური სახელწოდება გახლდათ "კანონპროექტი ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის მაღალი თანამდებობის პირების რეგისტრაციის, ნებაყოფილობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების შესახებ".

კანონპროექტით დგინდება იმ თანამდებობების ნუსხა, რომლებზეც ვრცელდება თანამდებობრივი შეზღუდვები. საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებს და კომპარტიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების წევრებსა და რაიონული კომიტეტების მდივნებს დანიშვნით თანამდებობებზე მუშაობა აეკრძალებათ. ამასთან, ამ ადამიანებს არჩევნებში კანდიდატებად მონაწილეობის უფლება ექნებათ. თუ კანონის ამოქმედებიდან ექვს თვეში კონკრეტული პიროვნება სპეციალურ კომისიას ნებაყოფლობით დაუდასტურებს საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობის ფაქტს, მისი ანონიმურობა დაცული იქნება.

წინასწარი ინფორმაციით, პროექტი 15-18 სექტემბერს კომიტეტებში უნდა განხილულიყო და პირველი მოსმენით კენჭისყრაზე იმავე კვირას უნდა გასულიყო. თუმცა, როგორც ბიუროს მაშინდელ სხდომაზე გაირკვა, ყველა დეტალის შეთანხმების პროცესი გაჭიანურდა და "გვერდითი უარყოფითი მოვლენების" თავიდან ასაცილებლად, კონსულტაციების პროცესი დროში პრაქტიკულად უსასრულობამდე გაიწელა. სხვათა შორის, მაშინ ისიც ითქვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ კანონპროექტის შესახებ ძალოვან უწყებებთან ერთად იმსჯელა, თუმცა კანონპროექტის ინიციატორის გარეშე. გია თორთლაძემ იქვე მიიღო პროცესში ჩართვის შეპირებაც.

საგულისხმოა, რომ ლუსტრაციის შესახებ შექმნილი მსგავსი (თუმცა არა ანალოგიური) კანონპროექტი 2007 წელს წინა მოწვევის პარლამენტში მმართველმა პარტიამ ჩააგდო იმ მოტივით, რომ "ნაციონალური მოძრაობის" შიგნით ამ საკითხის ირგვლივ დისკუსია დამთავრებული არ იყო. ეს კანონპროექტი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ლუსტრაციის კანონმდებლობის მიღების მესამე მცდელობა იყო, 2005 წლის შემოდგომაზე მოამზადეს დეპუტატებმა "რესპუბლიკელებიდან" და "კონსერვატორებიდან", რომელთა ფრაქციაშიც მაშინ ასევე შედიოდა გია თორთლაძე.

სანამ ლუსტრაციის შესახებ კონსულტაციები ამჯერადაც დასრულდებოდა, გია თორთლაძემ პარლამენტში კიდევ ერთი ახალი - ასევე საკმაოდ ხმაურიანი კანონპროექტის - "პატრიოტთა აქტის" ინიცირება მოახდინა. აქტის ძირითადი მიზანი, თორთლაძის თქმით, ანტიტერორისტული ქმედებების კოორდინირებაა. მიუხედავად წინასწარ გავრცელებული ინფორმაციისა, პრეზენტაციაზე გაირკვა, რომ თორთლაძის მიერ ინიცირებული "აქტი" სატელეფონო მოსმენების, უნებართვო ჩხრეკებისა და ელექტრონული ფოსტის კონტროლის უფლების დაკანონებას მაკონტროლებელი ორგანოებისთვის არ ითვალისწინებდა.

"ანტიტერორისტული ღონისძიებების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ" კანონპროექტში (ეს თორთლაძის ინიციატივის ოფიციალური სახელწოდებაა) ძირითადად საუბარია სტრატეგიული ობიექტების ვიდეო-თვალთვალზე, ასევე იმპორტისა და რეექსპორტის სახით შემომავალი ტვირთებისა და საბანკო გადმორიცხვების კონტროლზე.

კანონპროექტის მიხედვით, უცხოეთიდან ფიზიკურ და იურიდიული პირებზე, მათ შორის "საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე" გადმორიცხული 10 ათას ლარზე მეტი დაექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის მონიტორინგს. მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ ის გარიგება ექვემდებარება მონიტორიგს, რომელიც 30 ათას ლარს აჭარბებს; ამ მონიტორინგს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ახორციელებს.

კანონპროექტის მიხედვით, შსს-მ უნდა განახორციელოს აეროპორტების, საზღვაო პორტების, რკინიგზის სადგურების, მეტროპოლიტენის, სტრატეგიული ხიდების, ელექტროსადგურების, "საზოგადოებრივი მასობრივი თავშეყრის ადგილების და სხვა განსაკუთრებული ობიექტების" ვიდეო-სათვალთვალო კამერებით აღჭურვა და მათი დაკვირვების ერთიან სისტემაში ჩართვა.

გარდა ამისა, შსს-ს, საბაჟო სამსახურებთან ერთად, კანონპროექტი ანიჭებს უფლებამოსილებას სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზით შემოსული "საეჭვო" ტვირთების გახსნისა და დათვალიერებისა. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებული "პირობითი საზღვრების" მონიტორინგს.

საგულისხმოა, რომ ლუსტრაციის კანონპროექტისგან განსხვავებით, "პატრიოტთა აქტის" მიღების ინიციატორი პარლამენტში დღემდე ძირითადად ხელისუფლება გახლდათ. ასეთი ინიციატივა ორჯერ დააყენა ხელისუფლებამ - პირველად 2006 წელს და მეორედ აგვისტოს ომიდან ცოტა ხანში, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს "პატრიოტის აქტი" სჭირდება, რათა წინ აღუდგეს საგარეო ინტერვენციის გზით მთავრობის ჩამოგდების მცდელობას. თუმცა ამ იდეას რაიმე განვითარება არ მოჰყოლია და თორთლაძის ინიციატივამდე არც რაიმე დაწერილი პროექტი ყოფილა წარმოდგენილი.

დღეს ყველა ჩამოთვლილი პრინციპი უკვე გაერთიანებულია ახალ "თავისუფლების ქარტიაში". საპარლამენტო პარტიები გუშინ აცხადებდნენ, რომ კანონპროექტის დეტალურად გაცნობამდე მის მხარდაჭერასთან დაკავშირებით პოზიციის ჩამოყალიბებას არ ჩქარობენ.

# "აშენებულია ხალხის ფულით"

მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში ვიზიტისას რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს შეხვდა. შეხვედრას სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვი და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვიც ესწრებოდნენ.

შეხვედრის დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობები ისტორიის მანძილზე ამჟამად ყველაზე დაბალ დონეზეა. **"არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები სავალალო მდგომარეობაშია. ეს არის თბილისის ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი. მას რომ სხვა პოლიტიკა ეწარმოებინა, დარწმუნებული ვარ, წელიწადნახევრის წინ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ტრაგიკული მოვლენები არ მოხდებოდა,"**- განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

პუტინი, ისევე როგორც ადრე, დღესაც მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავ არასწორ პოლიტიკას ახორციელებს, რისი ნათელი გამოხატულება ქუთაისში "დიდების მემორიალის" დემონტაჟია.

პუტინის განცხადებით, რუსეთში ყველაფერი, რაც დიდი სამამულო ომის მსხვერპლთა ხსოვნას ეხება, აბსოლუტურად საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანია. ამის გათვალისწინებით, რუსეთის პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ ქართული საზოგადოება პოზიტიურ რეაგირებას მოახდენს "დიდების მემორიალის" მოსკოვში აღდგენის ინიციატივაზე. პოზიცია ნოღაიდელმაც დააფიქსირა და აღნიშნა, რომ ძეგლის დემონტაჟი გამოხატავს საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთსა და საქართველოს შორის დამაკავშირებელი ძაფების გაწყვეტას.

რუსეთის პრემიერი მხარს უჭერს "დიდების მემორიალის" მოსკოვში "პოკლონნაია გორაზე" აღმართვას. აღნიშნული ინიციატივა პუტინს გუშინ შეხვედრაზე მყოფმა სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა გააცნო. თავის მხრივ, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა განაცხადა, რომ მემორიალის ავტორის შეთავაზებით, ხელახლა აგებული მემორიალი ორიგინალისგან განასხვავებული იქნება იმ დაფით, რომელზეც დაიწერება: "აშენებულია ხალხის ფულით".

# მიმართვა ქართულ საზოგადოებას

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო "პრიმავერაში" საზოგადოების ერთმა ნაწილმა ორდღიანი შეხვედრა გამართა, სადაც უახლოეს წარსულში მომხდარი მოვლენებიც შეაფასეს და არსებული ვითარებიდან გამოსვლის გზებზეც იმსჯელეს. შეხვედრას ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ნაწილიც დაესწრო.

საბოლოოდ, შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, სადაც ნათქვამია: "სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბრძოლის ის ფორმები, რომელსაც ქართველმა საზოგადოებამ მიმართა, არაადეკვატური გამოდგა. დღეს ხელისუფლებამ ახალი ხაფანგი დაუგო საზოგადოებას ე.წ ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების სახით, რაც არასდროს ყოფილა საზოგადოების შეკვეთა. ისევე, როგორც 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო და ამავე წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიცია ხელისუფლების თამაშის წესებით თამაშობს, მისი ერთი ფრთა მონაწილეობს ადგილობრივ არჩევნებში იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება დემონსტრაციულად არ ცვლის საარჩევნო გარემოს და აშკარად ემზადება არჩევნების გაყალბებისათვის. ოპოზიციის მეორე ნაწილი არჩევნებს უაზრობას და სააკაშვილის რეჟიმისათვის ლეგიტიმაციის მინიჭებად თვლის და არავითარ შემთხვევაში არ აპირებს მათში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოება დაბნეულია! ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! დროა საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში! საჭიროა შევთანხმდეთ ძირითად საკითხებზე და მათ გარშემო მოვახდინოთ გაერთიანება შემდეგ მოთხოვნებზე: **დაკანონდეს 50 პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი, საბოლოოდ დაზუსტდეს საარჩევნო სიები, განხორციელდეს პოლიციისა და სასამართლოს დეპოლიტიზაცია, შეწყდეს ადმინისტრაციული რესურსის და საჯარო მოსამსახურეთა გამოყენება პარტიული მიზნებისთვის, აღიკვეთოს ზეწოლა ბიზნესზე, მედია განთავისუფლდეს სახელისუფლო წნეხისგან! ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, შეუძლებელს გახდის სამართლიანი საარჩევნო პროცესების გამართვას, რაც საზოგადოებას რადიკალური ქმედებებისკენ უბიძგებს.**

მიმართვას ხელს აწერენ ნონა გაფრინდაშვილი, რობერტ სტურუა, გიგა ლორთქიფანიძე, თამაზ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გია ცაგარეიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე, ეკა ბესელია, თემურ შაშიაშვილი - სულ 32 ხელმომწერი.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საფრთხე ოკეანის გაღმიდანაც ჩანს

პირველი გვერდიდან

ლუგარის დასკვნაში ნათქვამია, რომ საქართველოს დაუცველობა, რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების გათვალისწინებით, რეგიონში დესტაბილზაციის საფრთხეს შეიცავს.

ამის გამო, სენატორის აზრით, ვაშინგტონმა და ნატო-მ ერთობლივი სტრატეგია უნდა შეიმუშაონ, რათა **"საქართველოს თავდაცვით პოტენციალსა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას შორის ბალანსი დაიცვან."**

**"ალიანსმა უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოს უახლოეს რამდენიმე წელიწადში ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მხრიდან უსაფრთხოების სფეროში კოორდინირებული მხარდაჭერა სჭირდება,"** - ნათქვამია დოკუმენტში.

სენატორი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად მოითხოვს აღდგენას საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა და რადიოსალოკაციო სისტემები.

**"ახლანდელი სტატუსკვოს შენარჩუნება საქართველოს არა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის დაცვის საკითხში შეუქმნის სიძნელეებს, არამედ ქვეყანას დაუცველს გახდის შიდა არასტაბილურობისა და გარედან მანიპულაციების წინაშე,"** - ნათქვამია ლუგარის მოხსენებაში.

იმავდროულად, კიდევ ექსმა "რესპუბლიკელმა" სენატორმა, ჯონ მაკკეინის მეთაურობით, აშშ-ში საფრანგეთის ელჩს წერილი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთისთვის საბრძოლო ხომალდ "მისტრალის" მიყიდვის გეგმების გამო შეშფოთებაა გამოთქმული.

**"რუსეთის სურვილს, "მისტრალი" ნატო-ს ქვეყნების მეზობელ წყლებში განალაგოს, ალიანსის რამდენიმე წევრის შეშფოთება მოჰყვა,"** - ნათქვამია სენატორების წერილში. მათ ასევე გაიხსენეს რუსი სამხედროების განცხადებები იმის შესახებ, რომ "მისტრალს" 40 წუთი დასჭირდებოდა საქართველოს წინააღმდეგ ომში იმ ამოცანების შესასრულებლად, რასაც რუსულმა ფლოტმა 2008 წლის აგვისტოში 26 საათი მოანდომა. **"სწორედ ამიტომ არის პრობლემატური და შემაშფოთებელი რუსეთისთვის ხომალდის მიყიდვის შესახებ საუბარი,"** - განაცხადა სააგენტო "ფრანს-პრესთან" ინტერვიუში სენატორმა ჯონ კილმა.

გასულ კვირაში "რესპუბლიკელმა" კონგრესმენებმა ქვედა პალატაში შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომლითაც ნატო-ს ქვეყნებისგან მოითხოვდნენ **"თავის შეკავებას რუსეთისთვის შეიარაღების მსხვილი სისტემების გადაცემისგან".**

რიჩარდ ლუგარის ბოლო ინიციატივა ღია გამოწვევაა კრემლისთვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოდან საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებას მოითხოვს. ბოლო დროს რუსულ მედიაში, სამხედრო მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით, გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აშშ-მ საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღების გადაცემის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მათ შორის საუბარია ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო უახლეს დასავლურ სისტემებზე.

თუმცა, საჯარო განცხადებებში აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდებას უარყოფენ. ვაშინგტონში აცხადებენ, რომ აშშ-ს სამხედრო დახმარება ამ ეტაპზე ავღანეთში გასაგზავნი ქართული კონტინგენტის მომზადებით შემოიფარგლება. თანაც, ამერიკულ მხარეს არაერთხელ დაუდასტურებია, რომ ეს პროგრამა რუსეთთან არის შეთანხმებული.

რაც შეეხება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პროგრამას, რომელსაც საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ითვალისწინებს, მხარეების განცხადებით, ეს თანამშრომლობა დღესდღეობით სამხედრო განათლებისა და თავდაცვის კონცეფციის სრულყოფას ითვალისწინებს.

# მოლაპარაკება შესაძლებელია
## თუ რუსეთი ქართულ სახელმწიფოს აღიარებს

*რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში ისაუბრა. რუსეთის ხელისუფლების განცხადებას, რომ მას არ სურს საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან საუბარი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიული კულტურის არარსებობად აფასებს. რაც შეეხება თბილისის პოზიციას, პრეზიდენტის თქმით, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, შეუძლია რუსეთთან მოლაპარაკება, თუ იგი საქართველოს სახელმწიფოს აღიარებს. ამავე ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა რუსული პროპაგანდის მიერ შექმნილი მითი უწოდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვლადიმირ პუტინს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა.*

მზად არის თუ არა თბილისი, კრემლთან მოლაპარაკებები დაიწყოს? ამ კითხვაზე მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა, რომ იგი მზადაა არის, ნებისმიერ ხელისუფლებას ესაუბროს. **"შეგვიძლია თუ არა, მოვილაპარაკოთ, როგორც სახელმწიფომ სახელმწიფოსთან? დიახ, თუკი რუსეთი საქართველოს სახელმწიფოს აღიარებს. დღეს ისინი არა თუ საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას, არამედ საერთოდ საქართველოს არ ცნობენ. რუსეთმა თითქოს თვითნებურად, ცალმხრივი გადაწყვეტილებით რუკიდან და საკუთარი სამართლებრივი სივრციდან წაშალა საქართველო,"** - განაცხადა საქართველოს პირველმა პირმა.

პრეზიდენტის განცხადებით, დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის პირობებშიც კი ქვეყნებს შორის ჰუმანიტარულ საკითხებში კონტაქტები გრძელდება. **"საქართველო მზად არის თქვენთან საუბრისთვის, თუ თქვენ მას აღიარებთ და იტყვით - დიახ, ეს არის სახელმწიფო, მას ჰყავს საკუთარი ხელისუფლება და საკუთარი ხალხი. დიახ, ის პატარა ერია, მაგრამ მრავალეროვნული და იმსახურებს პატივისცემას, ისევე როგორც ყველა პატარა ერი. რა თქმა უნდა, არანორმალურები უნდა ვიყოთ, რომ ასეთ პირობებში დიდ რუსეთთან საუბარი არ მოვინდომოთ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინთან პირად უთანხმოებას კატეგორიულად უარყოფს და ასეთ ვარაუდს "რუსული პროპაგანდის მითს" უწოდებს. **"ის, რომ თითქოს ჩემსა და პუტინს შორის რაღაც პირადული პრობლემები არსებობს, რუსული პროპაგანდის მიერ შექმნილი მითია, რომელიც, სამწუხაროდ, დასავლეთის ზოგიერთმა წყარომაც აიტაცა. ეს ყველაფერი აბსოლუტური ტყუილია. მე არ მახასიათებს საერთაშორისო არენაზე ფამილარული დამოკიდებულება რომელიმე ლიდერის მიმართ, განურჩევლად იმისა, როგორია მასზე ჩემი პირადი შეხედულება, რადგან ამა თუ იმ ლიდერთან საუბრისას მე მისი სახელმწიფოს მოქალაქეებს ვესაუბრები და ვალდებული ვარ, პატივი ვცე იმ ქვეყანას და ხალხს. და არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელიმე კონკრეტულ ლიდერს ამ ყველაფრის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის "დღემდე გაუგებარია", 2008 წლის აგვისტოს ომამდე "თავად პუტინი ცვლიდა შეხვედრებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს, თუ მას, უბრალოდ, არ ემორჩილებოდნენ". პრეზიდენტმა პუტინთან ერთ-ერთი შეხვედრა გაიხსენა და აღნიშნა, რომ რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი საქართველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის 2 დღეში გაუქმებას დაჰპირდა. **"საქართველო ამ გადაწყვეტილების აღსრულებას 2 დღე, 2 თვე, 2 წელიც ელოდა და ახლაც ველით. ძალიან ხშირად მესმოდა, რომ პუტინი სიტყვის კაცი იყო. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თავად პუტინი ცვლიდა შეხვედრებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს, თუ მას, უბრალოდ, არ ემორჩილებოდნენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი მხრიდან სრულიად თავისუფლები ვართ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა, რომელსაც "ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თავად კრემლში მუდმივად მიდიოდა ბრძოლა და მუდმივად იყო გაურკვევლობა". **"ჩვენთვის "კი" ნიშნავს "კის", "არა" - "არას". დღევანდელ რუსულ პოლიტიკაში მყოფი პასუხისმგებელი პირებისთვის კი, როგორც ჩანს, "კი" და "არა" საერთოდ არაფერს ნიშნავს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, რუსეთისთვის წარმატებული დემოკრატიული საქართველოს არსებობა დიდი სურპრიზი აღმოჩნდა. **"თავად ის ფაქტი, რომ არსებობს წარმატებული, დემოკრატიული საქართველო, რუსეთისთვის დიდი სურპრიზი აღმოჩნდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს კრემლის გაღიზიანება და აღნიშნული რეალობის უარყოფის მცდელობები და ამას ობიექტურად და ლამაზი სიტყვებით ვერ გადაფარავ,"** - განაცხადა სააკაშვილმა რადიო "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

პრეზიდენტმა კავკასიელი ხალხების საუკუნოვან ისტორიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არავინ არასდროს ელოდა, კავკასიაში თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო თუ შეიქმნებოდა. **"ზოგიერთებს ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ კავკასიელებს ერთმანეთთან უნდა ებრძოლათ, ერთმანეთი უნდა დაეხოცათ, შემდეგ კი ვიღაც ბიჭი უნდა მოსულიყო, რათა ყველაფერი გაერკვია, რადგან თავად კავკასიელებს პრობლემების მოგვარება არ შეეძლოთ. მათი გაგებით, კავკასიელებს მხოლოდ სიმღერა და მაგიდის ირგვლივ "ლეზგინკის" ცეკვა შეუძლიათ. ამ ხალხის გასაკვირად მინდა ვთქვა, რომ კავკასიის ხალხებს უდიდესი ისტორია, ცივილიზაცია და კულტურა გააჩნიათ. საქართველომ სამაგალითოდ თანამედროვე სახელმწიფო შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კრემლში ვიღაცებისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა,"** - აღნიშნა სააკაშვილმა .

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რუსეთი თანამედროვე მსოფლიოში სრულ სამართლებრივ იზოლაციაში აღმოჩნდა. მისი თქმით, მოსკოვს მხოლოდ "ვულგარული უგო ჩავესი" დარჩა. სააკაშვილის განცხადებით, რუსეთს თავისი სიდიადის დასამტკიცებლად ნაურუც დასჭირდა, "რომელიც იძირება". **"მახსოვს, როცა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე გეოგრაფიის გამოცდას ვაბარებდი, ნიშნის დასაკლებად ერთ შეკითხვას სვამდნენ, რომლის შესახებაც ყველამ წინასწარ ვიცოდით. ეს იყო კითხვა: გვაჩვენეთ რუკაზე ნაურუ. რატომ სვამდნენ ასეთ კითხვას? იმიტომ, რომ საბჭოთა რუკებზე ნაურუ არ არსებობდა. აი, საიდან მახსოვს ეს დასახელება. ის, რომ დიდ რუსეთს საკუთარი სიდიადის დასამტკიცებლად პატარა ნაურუს მოხმობა დასჭირდა, ეს რუსეთში პრობლემების არსებობას ნიშნავს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

### "ახალი ხელშეკრულება თბილისთან"

გუშინ "ხალხის პარტიის" ლიდერმა, კობა დავითაშვილმა ჭადრაკის სასახლეში შეკრებილ თანაგუნდელებს წინასაარჩევნოდ პარტიის პროგრამა - "ახალი ხელშეკრულება თბილისთან" - გააცნო. დავითაშვილის განცხადებით, პროგრამა იმ დაპირებებს შეიცავს, რომლებსაც, თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილი ხალხს დაჰპირდა და არ შეასრულა.

დავითაშვილის თქმით, 2010 წელს თბილისის მერად არჩევისა და თბილისის საკრებულოში უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, თბილისელების წინაშე კისრულობს ვალდებულებებს, რომ ყველა პენსიონერისთვის სამედიცინო მომსახურება მედიკამენტების ჩათვლით უფასო იქნება. დავითაშვილის განცხადებით, თბილისელ პენსიონერებს ის 100 პროცენტიანი სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფს. პროგრამა, პენსიის გაზრდას სტაჟისა და დამსახურების მიხედვითაც მოიცავს.

დავითაშვილი თბილისელებს განათლების ხელშეწყობასაც პირდება, მისი თქმით, ყველა მოსწავლეს სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს. პროგრამა 182 მილიონი ლარის ხარჯებია გათვალისწინებული. დავითაშვილის თქმით, 600 მილიონიანი ბიუჯეტისთვის ეს შეუძლებელი არ არის.

შეკრებას ჭადრაკის სასახლეში კიდევ ერთი მერობის კანდიდატი "კონსერვატიული პარტიიდან" ზვიად ძიძიგური ესწრებოდა. ძიძიგური უარყოფს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მერის არჩევნებისთვის "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერის ირაკლი ალსანიას კანდიდატურას საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მისი კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში დაუჭერს მხარს. როგორც ძიძიგურმა "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, არანაირ გარიგებებს ადგილი არ აქვს. მისი თქმით, ოპოზიციის გეგმაა პრაიმერის გზით ერთიან კანდიდატებზე შეჯერება და ეს პროცესი ღია და გამჭვირვალე იქნება. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ კულუარებში გარიგების დრო დამთავრდა და თავად ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი კანდიდატი იქნება მათთვის მისაღები თვითმმართველობაში", - აღნიშნა მან.

### რუსეთი დიდების დაბრუნებას ცდილობს

რუსეთის პრემიერს იმპერიული ძლიერების დაბრუნება სურს. ასე შეაფასეს თბილისში პუტინის ინიციატივა, "დიდების მემორიალის" მოსკოვში აღდგენასთან დაკავშირებით. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის აზრით, რუსეთი დიდების დაბრუნებას ცდილობს და ამ იდეის განსახორციელებლად საბჭოთა გადმონაშთებს აგროვებს.

"ჩვენ გვახსოვს პუტინის ყველაზე ცნობილი განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. თუკი ამ ახალი განცხადების შესახებ ამის ფონზე ვიმსჯელებთ, გასაგები ხდება, რომ მათ ის კი არ სურთ, პატივი მიაგონ ქართველ ვეტერანებს, არამედ ისინი ზრუნავენ იმ იდეოლოგიური ღერძის აღდგენაზე, რომლის ძალითაც მოქმედებდა საბჭოთა კავშირი," - აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა განცხადება ქუთაისში დიდების მემორიალის დემონტაჟთან დაკავშირებით ორი დღის წინ გააკეთა და რუსეთში ქართულ დიასპორას სთხოვა, რომ ძეგლის მოსკოვში აღდგენა და განთავსება დააფინანსონ.

"რია ნოვოსტის" ცნობით, "დიდების მემორიალი" მოსკოვში, "პოკლონნაია გორაზე" დაიდგმება. ამის შესახებ მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა განაცხადა.

"ვლადიმირ პუტინის დავალებით, მემორიალისთვის კონკრეტულ ადგილს ხვალ შევარჩევთ. ამჟამად ამ საქმით ჩვენი მთავარი არქიტექტორი და კულტურის სამინისტროა დაკავებული," - განაცხადა ლუჟკოვმა და აღნიშნა, რომ ძეგლის ხელახალი შექმნის თხოვნით მემორიალის ავტორს მიმართავენ.

თუმცა, ქუთაისში აფეთქებული დიდების მემორიალის ავტორმა მერაბ ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მემორიალის აღდგენა შეუძლებელი იქნება.

"სამწუხაროდ, არც მე გამაჩნია და არც არქივში არ არსებობს ქუთაისის მემორიალის პროექტი და ახლიდან შექმნის ძალა და ენერგია მე აღარ გამაჩნია, უკვე თითქმის 80 წლის ვარ," - განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისი სიტყვებით მემორიალის აღდგენა შეუძლებელია, რადან ის "მთლიანად დანგრეული და გაცამტვერებულია".

### ოსმა სეპარატისტებმა შესაძლოა ე.წ. საზღვარი ჩაკეტონ

შესაძლოა, ე.წ. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვრის გადალახვა უფრო გამკაცრდეს, ან საზღვარი საერთოდ ჩაიკეტოს. ამის შესახებ აცხადებს ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის ე.წ. რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი. ჩოჩიევი ამის მიზეზად, ახალგორის რაიონის მცხოვრები ხათუნა ჩარაევას დაკავებას ასახელებს. მისი თქმით, ჩარაევა ყალბი ბრალდებით დააკავეს. ამის გამო, ჩოჩიევის თქმით, მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ არის გამორიცხული ე.წ. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარი საერთოდ ჩაიკეტოს.

"საქართველოს ხელისუფლება ახალგორის რაიონის მოსახლეობის ცხოვრებისათვის უფრო აუტანელი პირობების შექმნისათვის ახალ ქმედებებს მიმართავს. ახლა უკვე რაიონის მაცხოვრებლებს სხვა და სხვა ბრალდებებით აკავებენ და ამით ხელს უწყობენ რაიონის მოსახლეობისგან დაცლას. ჩარაევას დაკავების შესახებ უკვე ვაცნობეთ ევროკავშირის დამკვირვებლებს",- განაცხადა ჩოჩიევმა და აღნიშნა, რომ ახალგორის რაიონის მოსახლეობა დევნილი სწორედ საქართველოს ხელისუფლების გამო გახდა - "ისინი თავიანთი სახლებიდან არავის გაუყრია".

# წლის ბრენდ-კომპანიები

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო "პროფილის" ორგანიზატორობით გუშინ წლის გამარჯვებული ბრენდ-კომპანიების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ცერემონიალს საქართველოს ხელისუფლებისა და უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, ეკონომიკისა და მედიაკომუნიკაციის ექსპერტები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები, ხელოვნების, კულტურისა და მწერლობის თვალსაჩინო მოღვაწეები დაესწრნენ.

გამარჯვებულის გამოვლენა ხდებოდა ხუთ ნომინაციაში. ესენია: ლიდერი; რეპუტაცია და ნდობა; წარმატებული ახალი სახელი; წარმატებული ტელეპროექტი და ბრენდ-პერსონა.

2009 წლის გამარჯვებულებად ნომინაციაში ლიდერი დასახელდნენ კომპანია "ნიკორა", "გომის სპირტისა და არყის კომპანია", "ნაბეღლავი", "PSP ჯგუფი", "კოდა", "ტკბილი ქვეყანა", "დემასი", ტურისტული კომპანია "N ტური", "ბათოილი" ბრენისთვის "მზიური", "გურჯაანის ნაყინი", "ახალი ნათება", "ესთელაინი" გია გვარამიას კლინიკა, გაზეთი "კვირის პალიტრა", ჟურნალი "სარკე", რადიო "ფორტუნა", TBC TV, "კავკასუს ონლაინი" და კომპანია "მაგთი".

ნომინაციაში "წარმატებული ახალი სახელი" დასახელდნენ: "მარიგოლდი", ლუდსახარში "მირზაანი", გაზეთი "PRIME TIME", ჯგუფი "ეგარი". ნომინაციაში "რეპუტაცია და ნდობა" გამარჯვება წილად ხვდათ ღვინის კომპანიას "თელავის ღვინის მარანი", კარდიოლოგიურ კლინიკას "გული", საერთშორისო კორპორაცია "აი სი არ"-ს ბრენდისთვის "ჩემი სახლი", "ზარაფხანას" და ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალრი ბალეტის აკადემიურ დასს.

ნომინაციაში "ბრენდპერსონა" გაიმარჯვა ნანი ბრეგვაძემ, ნომინაციაში "წარმატებული ტელეპროექტი" - "გადაცემა PS", ნომინაციაში "წარმატებული ბიზნეს რადიო" - რადიო "კომერსანტი" და ნომინაციაში "წარმატებული პროექტი" - "არტ-გენი".

"ქართული ბრენდი" წელს მეშვიდედ მასპინძლობდა როგორც გამარჯვებულ და მონაწილე ბრენდებს, ასევე დაჯილდოების ცერემონიალზე მოწვეულ მრავალრიცხოვან საზოგადოებას.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ბრენდების ფორმირება-პოპულარიზაციას შიდა და გარე ბაზარზე; კომპანიებს შორის არსებული კონკურენციის ჯანსაღი მეთოდების და ტექნოლოგიების დამკვიდრებას; ეთიკური ბიზნესგარემოს არსებობას; ასევე კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას; ქართულ ბიზნესში მიმდინარე პოზიტიური პროცესების მხარდაჭერასა და საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას.

"ქართული ბრენდის დღეს" საფუძველი 2003 წელს ჩაეყარა. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველი ღონისძიება სალონური ტიპის გახლდათ და მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. "ქართული ბრენდის დღე" ყოველწლიურად ვითარდება და ფართო მასშტაბებს იძენს.

"პროექტი მართლაც გამორჩეულია, რასაც მონაწილე კომპანიების, ექსპერტების, ბიზნესმენების და საზოგადოებრივი აზრის ლიდერების დადებითი განწყობა და ასევე, მედია და სხვა სახის გამოხმაურებები ადასტურებს," - აცხადებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო "პროფილის" გენერალური დირექტორი მანანა გეგიძე.

"ჩვენი დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად, "ქართული ბრენდის დღე" ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად ჩამოყალიბდა. მინდა განვაცხადო, რომ სამომავლოდ დაგეგმილია მთელი რიგი სიახლეები, რაც პროექტის წინსვლას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს," - აცხადებს "პროფილის" საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი ელგუჯა მარღია.

პროექტის პარტნიორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საინფორმაციო მხარდამჭერები: რადიო "ფორტუნა", "ფორტუნა პლუსი", "კომერსანტი"', ტელევიზია "პირველი არხი", "რუსთავი 2", "იმედი", საინფორმაციო სააგენტო "ჯი ეიჩ ენი", ჟურნალი "სარკე", "ბიზნესი და კანონმდებლობა", მედია "პალიტრა" და სპორტული რადიო "ჯაკო".











# ქველმოქმედების ერთი დღე და ახალი საავადმყოფო აბაშაში - "ბლოკ ჯორჯია" მორიგ აქციას აწყობს

ძველი, ნახევრად დანგრეული შენობის, გაყინული დერეფნებისა და პალატების, მოძველებული აპარატურის ნაცვლად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგებობა, კომფორტული გარემო, უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიები და პაციენტზე ორიენტირებული პერსონალი - ასე შეიცვალა "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი" მას შემდეგ, რაც, "100 ახალი საავადმყოფოს პროგრამის" ფარგლებში, კომპანია "ბლოკ ჯორჯია"-მ, მთელი საქართველოს მასშტაბით, ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 24 ახალი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა დაიწყო.

"ბლოკ ჯორჯია" ჰოსპიტალური სექტორის ობიექტების მშენებლობის, დაგეგმვასა და მართვაში სპეციალიზირებული კომპანიაა. ქუთაისის, ზუგდიდისა და ქარელის შემდეგ, აბაშა მეოთხე ქალაქია, სადაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია, უახლოესი 6 თვის ვადაში, დასავლური სტანდარების დაცვით, ახალ, 15 საწოლიან საავადმყოფოს ააშენებს.

20 დეკემბერს ახალი საავადმყოფოს მშენებლობა აბაშაში "ბლოკ ჯორჯია"-მ უკვე ტრადიციად ქცეული საქველმოქმედო აქციით დაიწყო და საავადმყოფოს ახალი სამედიცინო აპარატურა გადასცა. აქციის ფარგლებში, ქუთაისისა და ზუგდიდის საავადმყოფოების ექიმი-სპეციალისტები აბაშის მოსახლეობას უფასოდ მოემსახურნენ.




"აქამდე მსგავსი გამოკვლევების ჩატარება, საჭირო აპარატურის არქონის გამო, აქ ვერ ხერხდებოდა. თბილისში კი იგივე მომსახურება პაციენტს 62 ლარი დაუჯდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მგზავრობის ხარჯებზე", - განმარტავს ექიმი რეზო მალაშხია.

აბაშის სამედიცინო ცენტრის მთავარი ექიმის, ნანა შენგელიას, თქმითაც, მანამდე პაციენტებს სამკურნალოდ ჩასვლა თბილისსა და ქუთაისში უწევდათ. ეს კი ბევრი მათგანისთვის პრობლემას წარმოადგენდა და დიდ თანხებსაც უკავშირდებოდა. ფულის ამ მხრივ დაზოგვის გარდა, მომხმარებლებისთვის ახალ საავადმყოფოს კიდევ ერთი უპირატესობა ექნება - აქ შექმნილი პირობების ხელშეწყობით, ავადმყოფობის გართულების საფრთხე და საწოლზე დაყოვნების დრო ნაკლებია. ახალ საავადმყოფოებში მომხმარებელს იმდენივეს გადახდა მოუწევს, რამდენსაც, ჩვეულებრივ, მანამადე არსებულ კლინიკებში იხდიდა. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ზოგიერთი მომსახურება შეიძლება, უფრო ნაკლებიც ღირდეს.

"ჩემი ოცნება იყო, ამ სფეროდან ისე არ წავსულიყავი, რომ აქაურობა სათანადოდ გაკეთებული არ მენახა. თქვენ ოცნება ამიხდინეთ". - ეს აბაშის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგის სიტყვებია, რომლითაც მან "ბლოკ ჯორჯია"-ს ხელმძღვანელს მიმართა. ვახტანგ ჯანაშვილის განცხადებით, კომპანიის პრიორიტეტიც სწორედ "პაციენტებზე ზრუნვაა".

როგორც "ბლოკ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი, ლაშა მდივანი, აღნიშნავს, საავადმყოფოებში მომსახურე პერსონალი არ შეიცვლება. მთავარია, მათ საჭირო კრიტერიუმები დააკმაყოფილონ. ექიმთა კვალფიკაციის ასამაღლებლად, კომპანია სპეციალური ტრენინგების ჩატარებასაც გეგმავს.

ეს მხოლოდ დასაწყისია: აბაშის საავადმყოფო ერთერთი იქნება იმ ოცდაოთხთაგან, რომელთა გახსნასაც "ბლოკ ჯორჯია" საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გეგმავს.

**ლალი ცერცვაძე**

# ევრობანკმა "კრისტალს" კრედიტი ლარებში გამოუყო

თინა შავაძე



საქართველოს კერძო სექტორში მოქმედ ბიზნესმენებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) დაფინანსების შესაძლებლობებს უზრდის. ამის დასადასტურებლად პირველი კრედიტი გამოიყოფა ადგილობრივ ვალუტაში, რათა მოხდეს ფინანსური რესურსის გასესხება მიკრო და მცირე ზომის საწარმოებზე.

ევრობანკი არასაბანკო მიკრო-საფინანსო დაწესებულებას სს "კრისტალს" გამოუყოფს კრედიტს ლარებში 1 მილიონი დოლარის ეკვივალენტის ოდენობით. ამ ფინანსური რესურსით "კრისტალი" საქმიანობას გააფართოებს და საკრედიტო პორტფელს გაზრდის, რათა მიკრო და მცირე ზომის საწარმოების დაკრედიტება მოხდეს, განსაკუთრებით სოფლად და აგრარულ სფეროში.

სს "კრისტალი" 1998 წელს დაარსდა. კომპანია დასავლეთ საქართველოში აქტიურ საქმიანობას ეწევა ისეთ სფეროებში, რომლებშიც სხვები კაპიტალდაბანდებებს არ ახდენენ.

აღნიშნული გარიგების საშუალებით "კრისტალს" ევრობანკი დაეხმარება, ლარებში გრძელვადიან დაკრედიტებაზე გაზრდილი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. კრედიტები გაიცემა მიკრო და მცირე ზომის საწარმოებისთვის, რაც ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, მაშინ როცა ქვეყანაში ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტება კვლავ შეზღუდულია.

ევრობანკი კონკრეტულ პრიორიტეტს ისახავს მიზნად მის სამოქმედო ქვეყნებში ადგილობრვ ვალუტაში დაკრედიტების გაცემით - ამ გზით უცხოურ ვალუტაში კრედიტებზე დამოკიდებულება შემცირდება.

ევრობანკის კრედიტს თან ახლავს 100,000 დოლარის ოდენობის საგრანტო რესურსი, რომელიც სს "კრისტალის" კორპორატიული მმართველობისა და რისკის მართვის გაძლიერებას მოხმარდება.

საქართველოში საქმიანობის დაწყებიდან ევრობანკმა ვალდებულება იკისრა 663 მილიონ ევროზე, რამაც პრაქტიკული ასახვა ჰპოვა დაახლოებით 120 პროექტის სახით საფინანსო, კორპორატიულ, ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ სექტორებში.

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ლაგოდეხის 2010 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ლაგოდეხის 2010 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. როგორც "პირWელს" რადიო "ჰერეთიდან" აცნობეს, საკრებულოს 2010 წლის ბიუჯეტი 4 მლნ 574 ათასი ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტის დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რაიონისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კულტურული ღონისძიებები დარჩა. კერძოდ, ადგილობრივი კულტურის ცენტრი მომავალ წელს 200 000 ლარით დაფინანსდება, დასასვენებელი სკვერის მოწყობისთვის კი 150 000 ლარია გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის წინასწარ გამოქვეყნებულ პროექტში სოციალური მომსახურების დაფინანსება შემცირებული იყო, თუმცა დამტკიცებულ ბიუჯეტში ის გასული წლის ანალოგიურ ნიშნულზე დაბრუნდა და სოციალური პაკეტი 145 000 ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტის დამტკიცების პროცესს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. როგორც "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენელმა გია დარბაიძემ განაცხადა, იმ პირობებში, როდესაც რაიონში სოციალური ფონი დაბალია, სკვერისა და კულტურული ღონისძიებების გამართვისთვის მეტისმეტად დიდი თანხებია გამოყოფილი".

თავის მხრივ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი წვერავას განცხადებით, უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა გამორიცხული არ არის.

*პირველი*

# "საქართველოს ლატარიის კომპანია" "ლოტოს" პირველ გათამაშებას გამართავს

29 დეკემბერს "საქართველოს ლატარიის კომპანია" "ლოტოს" პირველ გათამაშებას გამართავს. 21 დეკემბრიდან ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, ლოტოს ბილეთები შეიძინონ, 49 ციფრიდან 6 იღბლიანი შეარჩიონ და ჯეკპოტი - 300 000 ლარი მოიგონ. გათამაშება კვირაში ერთხელ, ყოველ სამშაბათს გაიმართება. "თამაშის წესი საკმაოდ მარტივი და გასართობია. მომხმარებელმა 1-დან 49 ციფრის ჩათვლით 6 ციფრი უნდა აირჩიოს და ბილეთი შეიძინოს. ბილეთის შეძენაც მაქსიმალურად გამარტივებული წესით არის შესაძლებელი. ამისათვის კომპანია მომხმარებელს შერჩევის ბარათებს სთავაზობს, რომლებზეც ცხრილებია გამოსახული. შერჩევის ბარათების მიღება შესაძლებელია გაყიდვის წერტილებში," - აცხადებს საქართველოს ლატარიის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ელენ ჩენგი. მისივე თქმით, ბილეთი მოგებულია, თუ მომხმარებლის მიერ შერჩეული 6 ციფრიდან მინიმუმ 4 გათამაშებულ ციფრებს დაემთხვევა. მოგებული თანხის მიღება "საქართველოს ლატარიის კომპანიის" სერვის-ცენტრსა და "სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში იქნება შესაძლებელი.

ცნობისთვის, ლოტოს ბილეთის ფასი 2 ლარია. გათამაშება ტელეკომპანიების "იმედის" და "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში 20:55 საათზე გაიმართება.

*პირველი*

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

„გაერთიანებული ტელეკომი" თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20$) არ გადაიხდის.



კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი" ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.

## "ვისოლის" ავტოგასამართი სადგურები საერთაშორისო ჟურნალ "თანამედროვე ავტოგასამართი სადგურის" გამარჯვებული გახდა

"ვისოლის" ავტოგასამართი სადგურები საერთაშორისო ჟურნალ "თანამედროვე ავტოგასამართი სადგურის" გამარჯვებული გახდა. ამის შესახებ "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ფხაკაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და დასძინა, რომ საერთაშორისო გამოცემამ "ვისოლის" ავტოგასამართი სადგურები საუკეთესო დიზაინის, უახლესი ტექნოლოგიური და ტექნიკური გადაწყვეტილებებისა და მომსახურების ფართო არჩევანისთვის დააჯილდოვა.

ამასთან, ფხაკაძემ 2009 წელიც შეაფასა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი კომპანიისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. მისივე თქმით, 2009 წელს "ვისოლის" ქსელის გაფართოებისთვის 20 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელდა და 15-მდე ახალი ავტოგასამართი სადგური გაიხსნა.

ცნობისთვის, ამჟამად საქართველოს მასშტაბით "ვისოლის" 75 ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს: 35 - თბილისში, 40 - რეგიონებში. "ვისოლის" ქვებრენდებია "ვისოლ პეტროლიუმი", "ეარ ვისოლი", "ვისოლ გაზი", "ვისოლ ბუნკირება" და "ვისოლ გაზის" სადისტრიბუციო კომპანია. **პირველი**

## სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 182 დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების №28 აუქციონზე 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

როგორც "პირველს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აუქციონში მონაწილეობა 6-მა კომერციულმა ბანკმა მიიღო. ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნამ 39 300 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი - 4.000%-ით, მაქსიმალური - 4.160%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 4.089 %-ით განისაზღვრა. **პირველი**

## აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1.6856 ნიშნულზე დაბალანსდა

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1.6856 ნიშნულზე დაბალანსდა. 1 აშშ დოლარი - 1.6856 ლარით, 1 ევრო კი 2.4018 ლარით განისაზღვრება. **პირველი**

## ნავთობის ფასები გაიზარდა

ნავთობის მოპოვების კვოტების შენრჩუნებასთან დაკავშირებით, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკ) განცხადების ფონზე, გუშინდელი ვაჭრობის შედეგად მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გაიზარდა. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.47 აშშ დოლარით გაიზარდა და 73.46 აშშ დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 0.68 აშშ დოლარით მოიმატა და 74.40 აშშ დოლარზე დაფიქსირდა. ნავთობის მოპოვების კვოტების შენარჩუნების შესახებ გადაწყვეტილება ოპეკმა გუშინ ანგოლაში გამართულ არაგეგმურ 155-ე კონფერენციაზე მიიღო. ოპეკ-ის შემადგენლობაში შედის 12 ქვეყანა, რომლებზეც მსოფლიო ნავთობის მოპოვების 40 პროცენტი მოდის. **ინტერპრესნიუსი**

## კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზმა" ახმეტის 11 ქუჩაზე გაზის ქსელების მშენებლობა დაასრულა

კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზმა" ახმეტის 11 ქუჩაზე გაზის ქსელების მშენებლობა დაასრულა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" კომპანიიდან აცნობეს.

გაზის ქსელის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ღონისძიება ხვალ გაიმართება, რომელსაც ენერგეტიკის მინისტრი ალეკო ხეთაგური, კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გიორგი ღვინიაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორი ანარ მამადოვი დაესწრებიან.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ქსელებში ჩართვის საშუალება 1 000 აბონენტს ექნება.

"სოკარ ჯორჯია გაზის" მიერ დაგეგმილი გაზიფიკაციის 3 წლიანი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზიფიცირებულ იქნება 150 000 აბონენტი.

ქვეყნის გაზიფიცირების მიზნით "სოკარ ჯორჯია გაზმა" საქართველოში 30 გაზგამანაწილებელი კომპანია შეიძინა, რომელიც აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზით მარაგდება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და "სოკარ ჯორჯია გაზს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზიფიცირების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად. აშენებულია გაზსადენები - საგარეჯოს რაიონის სოფელ იორ-მუღანლოში, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში, მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში, დმანისის რაიონის სოფელ ტნუსში, ქალაქებში - ზუგდიდი, დუშეთი და ხაშური. **ინტერპრესნიუსი**

## ცხინვალის რეჟიმი ქართველ მხარეს ხათუნა ჩარაევას დაკავებაში ადანაშაულებს

ცხინვალის რეჟიმი ქართველ სამართალდამცველებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქის ხათუნა ჩარაევას დაკავებაში ადანაშაულებს. როგორც "ინტერფაქსი" იუწყება, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენლის აპარატში აცხადებენ, რომ ახალგორის რაიონის მცხოვრები ჩარაევა თბილისში 22 დეკემბერს დააკავეს. "იგი შვილთან და სიძესთან ერთად თბილისში, პროდუქტების გასაყიდად გაემგზავრა. ბაზარში ჩარაევასთან ქართველი პოლიციელები მივიდნენ და მის ჩანთაში თითქოსდა ყალბი 30 ათასი აშშ დოლარი აღმოაჩინეს. ამის შემდეგ მისი შვილი და სიძე გაათავისუფლეს, თავად ჩარაევა კი დააკავეს," - განაცხადა აპარატის თანამშრომელმა გურამ სობაევმა.

სააგენტო "რეს" ინფორმაციით კი, ცხინვალის რეჟიმის ადამიანის უფლებათა დამცველმა დავით სანაკოევმა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგს ხათუნა ჩარაევას შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. "აღნიშნული ფაქტი უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს როგორც ოსური, ისე ქართული მხრიდან დაკავებულების გათავისუფლების საკითხების გადაჭრაზე. ასევე, მწვავდება კითხვა იმის თაობზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია თავისუფალი გადაადგილება ქართულ-ოსურ საზღვარზე, მათ შორის ლენინგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნის პოსტზე, რამდენადაც საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ქართული მხარე არ უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების უსაფრთხოებას," - განაცხადა დავით სანაკოევმა.

ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის ე.წ. რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევის თქმით, მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არ არის გამორიცხული საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის გადალახვა უფრო გამკაცრდეს ან საზღვარი საერთოდ ჩაიკეტოს. "საქართველოს ხელისუფლება ახალგორის რაიონის მოსახლეობის ცხოვრებისთვის უფრო აუტანელი პირობების შექმნისთვის ახალ პირობებს მიმართავს. ახლა უკვე რაიონის მცხოვრებლებს სხვა და სხვა ბრალდებებით აკავებენ და ამით რაიონის მოსახლეობისგან დაცლას ხელს უწყობენ. ჩარაევას დაკავების შესახებ უკვე ვაცნობეთ ევროკავშირის დამკვირვებლებს," - აცხადებს ჩოჩიევი. **ინტერპრესნიუსი**

## მოკლე ტექსტური შეტყობინება სამოქალაქო რეესტრიდან

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ სისტემაში ახალი მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ახალ სერვისს სთავაზობს მოქალაქეებს, რომლებიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, მოქალაქეობის საკითხებზე, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების ან ლეგალიზაციისთვის მიმართავენ.

დოკუმენტის დამზადების და დამოწმებისთანავე, პერსონიფიკაციის პროგრამის საშუალებით, განცხადებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოქალაქეს მოკლე ტექსტური შეტყობინება გაეგზავნება, სადაც მითითებული იქნება გამზადებული დოკუმენტების მისაღებად ტერიტორიულ სამსახურებში გამოცხადების ზუსტი თარიღი და დრო.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი ვაშაძის განცხადებით, "ახალი მომსახურება, ერთი მხრივ, მოქალაქეებს უქმნის კომფორტს, მეორე მხრივ, ჩვენ გვეხმარება რესურსების სწორ გადანაწილებაში."

ახალი მომსახურება ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება და ამ სერვისით საქართველოში მოქმედი ყველა მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის აბონენტები ისარგებლებენ. ამ სახის მომსახურება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში 2007 წლის ივნისში დაინერგა და აქამდე მოქალაქეებს პირადობის, ბინადრობის მოწმობებისა და პასპორტის მისაღებად გამოცხადების ზუსტი თარიღი ეგზავნებოდათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ფინკას" თანამშრომლების საქმე სასამართლოშია

ყვარლის რაიონული სასამართლო თაღლითობისათვის ბრალდებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინკას" ყვარლის ფილიალის თანამშრომლების გიორგი საქუაშვილისა და ნიკოლოზ ჩაჩანიძის სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს.

ორივე განსასჯელს ბრალი სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებათ. კახეთის საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, გიორგი საქუაშვილი და ნიკოლოზ ჩაჩანიძე 2008 წლიდან "ფინკა-საქართველოდან" სესხების გაცემის დროს მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს თაღლითურად ეუფლებოდნენ. გამოძიების ცნობით, საქუაშვილმა და ჩაჩანიძემ, ფინანსური მაქინაციების მეშვეობით, კახეთის რაიონის სოფელ ჭიკაანში მცხოვრებ 56 ადამიანს სესხი ააღებინეს, თუმცა მათ მხოლოდ თანხის მცირე ნაწილი მისცეს, დანარჩენი კი მიითვისეს. სესხის თანხის გადაუხდელობის გამო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ თბილისის მუდმივმოქმედ არბიტრაჟს მიმართა და მოვალეებისთვის თანხის დაკისრება მოითხოვა, რაც საარბიტრაჟო სასამართლომ დააკმაყოფილა. მოვალეთა ქონებას ყადაღა დაედო და სააღსრულებო პოლიციას უძრავ - მოძრავი ნივთების რეალიზაცია დაევალა. აღსანიშნავია, რომ ათამდე ოჯახს უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვეს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, გიორგი საქუაშვილსა და ნიკოლოზ ჩაჩანიძეს 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დავა სასამართლოებში და ბრალდებები პრესკონფერენციებით

*დავა, რომელიც გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქონებას ეხება, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს იქნება აქტუალური. პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან დღემდე, ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს გარდა, არაერთ ქვეყანაში მიმდინარეობს სასამართლო პროცესები და დავის დასრულებას ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო. მთელი ამ ხნის განმავლობაში, გარდაცვლილის ოჯახის წევრები ქონების უკანონოდ წართმევის დეტალებზე საუბრობენ და დარწმუნებული არიან, რომ უკანონოდ წართმეულს მალე კანონით დაიბრუნებენ. ქართული მართლმსაჯულების მიერ პატარკაციშვილის ანდერძის აღმასრულებლად გამოცხადებული ჯოზეფ ქეი და მისი ინტერესების დამცველები კი ირწმუნებიან, რომ კანონი სწორედ მათ მხარეს არის. რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ, მხარეები ერთმანეთს კვლავ ღიად, პრესკონფერენციების საშუალებით დაუპირისპირდნენ და ერთმანეთს ახალი ბრალდებებიც წაუყენეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

რამდენიმე დღის წინ ჯოზეფ ქეის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გიბრალტარის სასამართლოში მიმდინარე დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდა.

**"ჯოზეფ ქეის წარმომადგენლების განცხადება, რომ მათ მოიპოვეს გამარჯვება გიბრალტარის სასამართლოში, აბსურდულია. ჯოზეფ ქეი სხვადასხვა მანიპულაციებით ცდილობს, ქართული საზოგადოების წინაშე წარდგეს, როგორც ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის "უანგარო" აღმასრულებელი, მისი სამკვიდროს მმართველი და წარმატებული ბიზნეს-იმპერიის დამფუძნებელი, მაგრამ გიბრალტარის სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებებით ყველაფერი საპირისპიროდაა დამტკიცებული,"** - ირწმუნებიან გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის წევრები და მათი ინტერესების დამცველები, ჯოზეფ ქეის ადვოკატების მიერ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციების საპასუხოდ. მათ სპეციალურ ბრიფინგზე დოკუმენტაცია წარმოადგინეს და გიბრალტარისა და ლონდონის სასამართლოებში პატარკაციშვილის ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე დავებზე ისაუბრეს.

პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატების განცხადებით, 17 დეკემბერს გიბრალტარის უმაღლესმა სასამართლომ პატარკაციშვილის ოჯახსა და ჯოზეფ ქეის შორის არსებული სამართლებრივი დავის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული დავა ეხებოდა გიბრალტარის ორი ტრასტის (პარტნიორთა შორის იურიდიული შეთანხმება, რომელიც გულისხმობს პარტნიორთა ურთიერთდათმობას და მინდობილობას ბიზნესზე) მფლობელობას, რომელშიც მთელი რიგი ფასეული აქტივები შედის. ჯოზეფ ქეი პრეტენზიას გამოთქვამდა ამ ტრასტების მფლობელობაზე. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი კი ამტკიცებდა, რომ ტრასტები ბადრი პატარკაციშვილის მიერ იყო შექმნილი და მას ეკუთვნოდა.

პატარკაციშვილების ადვოკატების განმარტებით, გიბრალტარში სასამართლოში მიმდინარე საქმე გასულ კვირამდე კონფიდენციალური იყო და პრესას მისი გაშუქების საშუალება არ ჰქონდა. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ კი ჯოზეფ ქეიმ მოსამართლეს სთხოვა, ის კვლავ კონფიდენციალურად დაეტოვებინა. თუმცა, ბოლოს, მოსამართლემ დააკმაყოფილა პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნა, საქმე საჯაროდ გამოქვეყნებულიყო და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებები ღია ინფორმაციაა.

პატარკაციშვილებისა და მათი დამცველების მიერ პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, გიბრალტარელი მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად, ტრასტების 86 პროცენტის აბსოლუტურ მესაკუთრედ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი დასახელდა. ხოლო 14 პროცენტის შესახებ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა თეორიული პრეტენზია. ანუ მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად, ამ 14 პროცენტზე ჯოზეფ ქეის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ თეორიული პრეტენზია.

გუშინ პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატებმა მოსამართლის გადაწყვეტილებები დოკუმენტურად წარმოადგინეს და დეტალურად გაშიფრეს. ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ოჯახის წევრებმა ჯოზეფ ქეის აქტივების დაყადაღება ითხოვეს, რაზეც მოსამართლემ ორდერი გასცა.

**"მოსამართლემ გასცა კიდევ ერთი ორდერი, რომელიც ქეის ტრასტში შემავალი ყველა აქტივის განკარგვას უკრძალავს,"** - განაცხადეს პატარკაციშვილების ადვოკატებმა. მათივე განმარტებით, პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნით და გიბრალტარის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯოზეფ ქეის კუთვნილ ყველა აქტივზე მსოფლიო შეზღუდვის ორდერი გაიცა და მისი ყოველკვირეული საარსებო ხარჯები მხოლოდ 100 ფუნტ სტერლინგამდე შეიზღუდა.

რაც შეეხება ლონდონის სასამართლოში მიმდინარე პროცესს, სადაც პატარკაციშვილების ოჯახი ქონების განმკარგველად ჯოზეფ ქეის პრეტენზიას ასაჩივრებს. პატარკაციშვილების ადვოკატების ინფორმაციით, 4 დეკემბერს ინგლისის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმად, ქეი აღიარებულია არასათანადო პოზიციის მქონე განმკარგველად, არკადი პატარკაციშვილის ქონების შეუფერებელ ადმინისტრატორად ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე.

# ყოველწლიური ანგარიში ჟურნალისტების მკვლელობებსა და დაპატიმრებებზე

*2009 წლის დეკემბრამდე მსოფლიოში 74 ჟურნალისტი მოკლეს და 168 დააპატიმრეს. ასევე, მოკლულია მედიაში მომუშავე ათი არაჟურნალისტი, ხოლო დაპატიმრებულია 98 დისიდენტი - ასეთია ჟურნალისტთა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" მიერ მომზადებული 2009 წლის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა ორგანიზაციის ვებგვერდზე და რომელშიც დეტალურად არის აღწერილი, სად რამდენი ჟურნალისტი მოკლეს და სად რამდენი დააპატიმრეს.*

ანგარიშის თანახმად, ყველაზე მეტი - 33 ჟურნალისტი - 2009 წელს ფილიპინებში დაიღუპა. მათგან 30 ერთ დღეს - 23 ნოემბერს მოკლეს.

**"30-ზე მეტი ჟურნალისტი თანმხლებ პირებთან ერთად, ერთ-ერთ პროვინციაში - მაგუინდანაოში მიდიოდა, სადაც გუბერნატორობის ოპოზიციონერი კანდიდატის დარეგისტრირება უნდა გაეშუქებინათ. მოწინააღმდეგე პოლიტიკური კლანის წარმომადგენლებმა ისინი ტყვედ აიყვანეს. საბოლოოდ, სამართალდამცველებმა 57 ადამიანის ცხედარი იპოვეს ქალაქ ამატუანის ერთ-ერთ ფერდობზე გათხრილ საერთო საფლავში,"** - ნათქვამია საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში, რომელშიც მოკლული ჟურნალისტების რაოდენობით მეორე ადგილი სომალის რესპუბლიკას ეკუთვნის. ორგანიზაციის ინფორმაციით, აქ ერთი წლის განმავლობაში 9 ჟურნალისტი მოკლეს. მათგან ოთხი ადგილობრივი რადიოს "შაბელეს" თანამშრომელი იყო.

"რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" წერს, რომ წელს 5-5 ჟურნალისტი მოკლეს პაკისტანსა და რუსეთში. მათ შორის იყო, "ნოვაია გაზეტას" ორი თანამშრომელი - ნატალია ესტემიროვა და ანასტასია ბაბუროვა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ანასტასია ბაბუროვა ნეოფაშისტების წინააღმდეგ მუშაობდა. ის შეესწრო, თუ როგორ სცემეს სკინჰედებმა იაპონელი სტუდენტი და ეს ფაქტი თავის წიგნშიც კი აღწერა. 25 წლის ჟურნალისტი 2009 წლის 19 იანვარს მოკლეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ის ახლოდან ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა. რაც შეეხება ნატალია ესტემიროვას, რომელიც ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის "მემორიალის" თანამშრომელიც იყო, **"ის გროზნოში ცხოვრობდა და აქტიურად საუბრობდა იქ არსებულ მძიმე სიტუაციაზე, ადამიანთა გატაცებებზე, მკვლელობებსა და ა.შ. ნატალია ესტემიროვა 15 ივნისს, საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს უცნობმა პირებმა, ცოტა ხანში კი გზატკეცილზე გარდაცვლილი იპოვეს,"** - ნათქვამია ანგარიშში.

შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით, 16 ნოემბერს, კალინინგრადში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის მეთოთხმეტე სართულიდან გადმოვარდნილი იპოვეს ადგილობრივი ტელეკომპანიის დამფუძნებელი ოლგა კოტოვსკაია. მას სასამართლო დავა ჰქონდა გამართული მის მიერ დაფუძნებული ტელეკომპანიის ახალ მფლობელებთან.

რაც შეეხება ჟურნალისტების დაპატიმრებას, ანგარიშის თანახმად, 2009 წელს ყველაზე მეტი, 30 ჟურნალისტი დააპატიმრეს ჩინეთში, ერითრიაში - 29, კუბაში - 25, ირანში - 18, ბირმაში - 11, უზბეკეთში - 10, აზერბაიჯანში - 3 და ა.შ

**"63 კიბერდისიდენტი დააკავეს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩინეთში, რომელთა შორის არიან ონლაინჟურნალისტები, ბლოგერები, სტუდენტები და ინტერნეტის რიგითი მომხმარებლები. 17 ინტერნეტმომხმარებელი დააკავეს ვიეტნამში, ირანში კი - 15,"** - ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშის მოკლე მიმოხილვა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ადვოკატი თაღლითობისთვის დააკავეს

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ თაღლითობის ფაქტზე ადვოკატი ქართლოს ვაშაკიძე დააკავა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ადვოკატს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის წარედგინება. გამოძიებით დადგინდა, რომ ქართლოს ვაშაკიძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი ივანე მათიაშვილის მამა შენგელ მათიაშვილს, თითქოს პროკურატურის თანამშრომლისთვის ქრთამის სახით გადასაცემად, 5 ათასი აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა, რისთვისაც 22 დეკემბერს თანხის ნაწილი - 1000 დოლარი გამოართვა. ამჟამად საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულს თავისუფლების 4-დან 7 წლამდე აღკვეთა ემუქრება.

*პირველი*

# ლებედევის დაკავება უკანონო იყო

თამთა კახაძე



რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა 2003 წლის 3 ივლისს ბასმანის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება "მენატეპ"-ის ყოფილ ხელმძღვანელ პლატონ ლებედევის დაკავების შესახებ. ბიზნესმენის ადვოკატებმა მოითხოვეს რუსეთის სასამართლოების 10 გადაწყვეტილების გაუქმება და უკანონოდ აღიარება, მათ შორის - მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავების შესახებ. სასამართლომ მხოლოდ ოთხი მათგანის შეცვლის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

ლებედევი დააპატიმრეს მისი და ნავთობკომპანია "იუკოსის" ხელმძღვანელ მიხაილ ხოდორკოვსკის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს პრესსპიკერ პავლე ოდინცოვის განცხადებით, საქმეში ახალი გარემოებების გამოჩენის გამო სასამართლოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, განეახლებინა ლებედევის საკითხზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს (აუეს) დადგენილება, რომელშიც ლებედევის დაკავებას უკანონო ეწოდა. ეს იყო პასუხი ჯერ კიდევ 2004 წლის იანვარში სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ ლებედევის პირველ საჩელზე.

2007 წელს აუეს-მა განაცხადა, რომ ლებედევის დაკავება და წინასწარი პატიმრობა იმ საერთაშორისო შეთანხმების დარღვევით მოხდა, რომელსაც რუსეთმა ხელი მოაწერა. სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს ლებედევისთვის კომპენსაციის სახით 7000 ევროს გადახდა დააკისრა, რადგან 2003 წელს, დაახლოებით, 2 თვის განმავლობაში იგი უკანონოდ იყო დაკავებული. ბასმანის სასამართლოს ერთ-ერთი სხდომა, რომელზეც ლებედევის დაკავება განიხილებოდა, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის გარეშე ჩატარდა. საკასაციო საჩივარი კი დროზე არ იქნა განხილული. უმაღლესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთს 2 წლის შემდეგ მოუვიდა.

ხოდორკოვსკიმ სტრასბურგის სასამართლოში ანალოგიური საჩივარი შეიტანა, თუმცა იგი ჯერ არ განუხილავთ. ლებედევის ადვოკატ მაქსიმ დბარის განცხადებით, ხოდორკოვსკის საჩივრის განხილვის რიგი ჯერ არ მოსულა. **"უბრალოდ, ლებედევი რამდენიმე თვით ადრე დააპატიმრეს. ამასთან მისი საქმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იყო პრიორიტეტული,"** - განმარტა იურისტმა. ამჟამად აუეს-ი ლებედევის კიდევ ერთ საჩივარს განიხილავს, რომელიც სასამართლო პროცესის უკანონოდ წარმოებას შეეხება.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდუმის სხდომის დროს გენერალური პროკურორის მოადგილემ ვიქტორ გრინმა განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ გამოვლენილ დარღვევებს პროცესუალური ხასიათი აქვს და შეუძლებელია მათი გაუქმება. "ვფიქრობ, საჭიროა ცალკე განემარტოთ როგორც საგამოძიებო ორგანოებს, ასევე პროკურატურას და სასამართლოს ეს დარღვევები, ვინაიდან მსგავსი რამ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული," - განაცხადა გრინმა.

**"მთლიანობაში, ეს გამარჯვებას ნიშნავს. ის ფაქტი, რომ გააუქმეს სასამართლოების ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ჩვენ უკანონოდ მივიჩნევდით და რაც ევროპის სასამართლომაც დაამტკიცა, მოგცემს საშუალებას, უზენაეს სასამართლოში სხვა საფუძვლიანი სარჩელებით დავბრუნდეთ,"** - განაცხადა ლებედევის ადვოკატმა ელენა ლიპცერმა. ამასთან ლიპცერმა აღნიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს ლებედევის პატიმრობის საკითხზე, რადგან ის იხდის სასამართლოს მიერ მისჯილ ვადას და თანაც მეორე სისხლის სამართლის საქმის მიხედვით.

2005 წელს ლებედევი და ხოდორკოვსკი დამნაშავეებად ცნეს სისხლის სამართლის 7 სხვადასხვა მუხლით, მათ შორის გადასახადებისთვის თავის არიდებაში. მათ 8-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ.

ამჟამად ორივე ბიზნესმენი მოსკოვის საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება. ხამოვნიჩის სასამართლოში სისხლის სამართლის ახალი საქმე განიხილება, რომლის თანახმადაც მათ ბრალად ედებათ დიდი ოდენობით ქონების მიტაცება. ბიზნესმენებს ბრალდებათ ნავთობის მითვისებაც, რომელიც "იუკოსის" შვილობილი კომპანიების მიერ იყო მოიპვებული, აგრეთვე ამ ნავთობის გაყიდვით მიღებული ფულის ლეგალიზაცია. ამ საქმის გამო მათ 22 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

# მოსკოვის ბოლო "ნათლიმამა"

*"ვიაჩესლავ ივანკოვმა კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან დადებული გარიგების შედეგად ააღორძინა რუსული მაფია," - წერს ყოველკვირეული გაზეთის L'Espresso-ს კორესპონდენტი ნიკოლაი ლილინი.*

L'Espresso-ში გამოქვეყნებული წერილში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 3 ნოემბერს, იმ შენობასთან, სადაც რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის სამუშაო კაბინეტია, მოკლეს კგბ-ს ყოფილი აგენტი, ოლიგარქი სატბაი კალმაროვიჩი. მას 19 ტყვია ესროლეს. ამ მკვლელობისთანავე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ კალმაროვიჩის მკვლელობა ვიაჩესლავ ივანკოვის, იგივე "იაპონჩიკის" მკვლელობის გაგრძელება იყო. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ კალმაროვიჩი აწარმოებდა მოლაპარაკებას "იაპონჩიკთან" რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის თაობაზე.

ივანკოვი მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს კაშირსკის გამზირზე მდებარე ონკოლოგიურ ცენტრში გარდაიცვალა. იგი იყო მნიშვნელოვანი ფიგურა თანამედროვე ორგანიზებულ დამნაშავეთა დაჯგუფებებში.

ივანკოვი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. ქილერმა კრიმინალურ ავტორიტეტს ნახევრად ამტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაახლოებით 100 მეტრის მანძილიდან ესროლა და მუცელში დაჭრა.

L'Espresso-s კორესპონდენტი ნიკოლაი ლილინი საკუთარ გამოცდილებას იშველიებს და ამტკიცებს, რომ სნაიპერი არაპროფესიონალი იყო.

**"თავად ვმსახურობდი რუსეთის არმიაში, სადაც სნაიპერი ვიყავი. იმ იარაღით, რომლითაც ივანკოვს ესროლეს, ადამიანის მოკვლა 800 მეტრის მანძილიდანაცაა შესაძლებელი. ის დაქირავებული მკვლელი სავარაუდოდ ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც მკვლელობის დამკვეთმა სასიკვდილოდ გაწირა. დანაშაულის მნიშვნელობას ეს ფაქტიც მოწმობს, რადგან არც ერთი პროფესიონალი ქილერი არ დათანხმდებოდა ივანკოვის მოკვლას,"** - წერს ლილინი, რომელიც დარწმუნებულია, რომ "იაპონჩიკი" რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელს არ მოუკლავს.



**"მათ განსხვავებული სტილი აქვთ. მახსოვს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედი ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ცივსისხლიანი ოფიცრები. ღამით, 100 მეტრის მანძილზე შეეძლოთ იმ სიგარეტის ჩაქრობა, რომელსაც მათი სამიზნე ეწეოდა. მიზანში ამოღებულ ადამიანს მეორედ გასროლილი ტყვიით კლავდნენ და და მესამეს "საკონტროლოსაც" ესროდნენ,"** - აცხადებს იგი.

"იაპონჩიკის" ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ნებისმიერ შეკრებაზე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, საკმარისი იყო, უბრალოდ მისი დასწრება. იგი იყო რუსული დამნაშავეთა სამყაროს ე.წ. სულიერი ლიდერი.

**"იაპონჩიკის" ამერიკის შეერთებული შტატებიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ, რუსეთისა და სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის არსებული ომი შეწყდა, რომლის მოგვარებაც ვერც ერთი სახელმწიფოს მთავრობამ ვერ შეძლო. სწორედ ამიტომ გავრცელდა ხმები ივანკოვისა და კრემლს შორის გაფორმებულ საიდუმლო შეთანხმებაზე. კრემლმა ივანკოვის ამერიკიდან ექსტრადირება მოახერხა. "იაპონჩიკმა" კი, შეთანხმების თანახმად, რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს დამშვიდება შეძლო. სამაგიეროდ, კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან "ხელშეკრულება გააფორმა" და უკანონო ბიზნესით დაკავდა. ამდენად, სახელმწიფოს, ბიზნესისა და მაფიისგან შემდგარმა "სამეულმა" რუსეთი ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად აქცია მთელს მსოფლიოში,"** - ვკითხულობთ L'Espresso-ში.

# მოსკოვის ოლქში ეკლესიის წინამძღვარი მოკლეს

მოსკოვის ოლქში სოფელ სატინო რუსკოეში ეკლესიის წინამძღვარი ალექსანდრე ფილიპოვი მოკლეს. სასულიერო პირს ცეცხლსასროლი იარაღი გულში ესროლეს.

**"მამა ალექსანდრე მოკლეს იმიტომ, რომ მან ახალგაზრდებს შენიშვნა მისცა, როდესაც ისინი თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სადარბაზოში იდგნენ,"** - აცხადებს რუსული მედია, რომლის ინფორმაციით, მამა ალექსანდრეს მკვლელობაში ეჭვმიტანილები "ცხელ კვალზე" დააკავეს.

**"მკვლელობა სამშაბათს ღამით განხორციელდა. ორი მთვრალი მამაკაცი სადარბაზოს აბინძურებდა, მამაომ კი მათ შენიშვნა მისცა. მთვრალებმა იგი სადარბაზოშივე მოკლეს,"** - იუწყება რუსული მედია. მათივე ინფორმაციით, სასულიერო პირის მკვლელობაში ეჭვმიტანილები არიან 35 წლის და 28 წლის ვლადიმირის ოლქის მცხოვრებლები.

რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტმა სასულიერო პირის მკვლელობის შესახებ განცხადება გააკეთა.

**"დადგენილია მკვლელობის გარემოება, გვყავს ეჭვმიტანილები და მკვლელობის მოწმეები. დაკავებულია 1970 წელს დაბადებული ოლეგ შეხოვი, რომელიც ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი მკვლელობისთვის,"** - განაცხადა საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთ თვეში მოსკოვის ოლქში სასულიერო პირის მკვლელობის მეორე შემთხვევა მოხდა. 19 ნოემბერს მოსკოვის ტაძრის მამაო, მამა დანიელი საკურთხეველზე მოკლეს - მას თავში ესროლეს სასიკვდილო ტყვია. რუსული მედიის ინფორმაციით, 1990 წლიდან რუსეთში მოკლულია 25 მართლმადიდებელი სასულიერო პირი.

# პაქსასი ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჩამოაგდო?

საპარლამენტო კომისია, რომელიც ლიტვაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხის არსებობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო დაწყებულ სკანდალს იძიებს, მოწმეთა ჩვენებების მიღებას ასრულებს და მზად არის, თავისი დასკვნები წარმოადგინოს.

წინა კვირაში ჩვენების მისაცემად პარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტში ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი როლანდას პაქსასი დაიბარეს, რომელმაც განაცხადა, რომ პრეზიდენტობის პერიოდში მას ჰკითხეს აზრი "ალ კაიდას" დაკავებული ტერორისტების ლიტვის ტერიტორიაზე შემოყვანის შესახებ, რაზეც მან უარყოფითი პასუხი გასცა და შედეგად თანამდებობასაც გამოემშვიდობა.


როლანდას პაქსასი


ვალდას ადამკუსი


დალია გრიბაუსკაიტე

რაც უფრო მეტად ღვივდება სკანდალი, მით მეტი კითხვა და წინააღმდეგობა ჩნდება. მაგალითად, დასაწყისში ყველა იმდროინდელი მაღალჩნოსანი ერთხმად აცხადებდა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. ამავეს ამტკიცებდა პაქსასიც. თუმცა საპარლამენტო კომიტეტში სტუმრობის შემდეგ ექს-პრეზიდენტმა ჟურნალისტებს მოულოდნელად განუცხადა, რომ ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს ციხის შექმნაზე მინიშნებები არსებობდა. "ჩემთვის ძნელი სათქმელია, არსებობდა თუ არა ციხე მაშინ, როდესაც მე პრეზიდენტის თანამდებობაზე ვიყავი, თუმცა ვიცოდი, რომ ლიტვის ტერიტორიაზე ტერორისტში ეჭვმიტანილ პირთა შემოყვანის სურვილი იყო," - განაცხადა როლანდას პაქსასმა.

მისი თქმით, შესაბამისი წინადადება ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელ მეჩის ლაურინკუსისგან მიიღო, რომელიც ამჟამად საქართველოში ლიტვის ელჩია და რომელსაც პაქსასი მისი პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების ერთ-ერთ მთავარი შემსრულებელად ასახელებს.

**"მე, როგორც ქვეყნის მეთაურს, მომმართეს თხოვნით, რათა გამეცა თანხმობა ლიტვაში იმ პირების შემოყვანაზე, რომლებიც აქ მოხვდებოდნენ როგორც ჩვეულებრივი მოკვდავები. ამაზე, რა თქმა უნდა, კატეგორიული უარი ვუთხარი,"** - დაამატა ექს-პრეზიდენტმა.

არსებული ინფორმაციით, ეს საუბარი 2003 წელს შედგა, როდესაც ლიტვა ჯერ მხოლოდ ემზადებოდა ნატო-ში შესასვლელად. დიალოგის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები არ არსებობს, თუმცა მოვლენათა ასეთი განვითარების შემდეგ საკითხით დაინტერესებას არც თავად ლაურინკუსი უარყოფს. სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელის თქმით, მას მხოლოდ ციხის შექმნის შესახებ ლიტვის პრეზიდენტის პოზიცია აინტერესებდა, რადგან აშშ-ს ადმინისტრაცია ტერორისტებისთვის განკუთვნილი ციხის სხვაგან გადატანაზე უკვე ღიად მსჯელობდა.

პაქსასიც და ლაურინკუსიც ამტკიცებენ, რომ საკითხის განხილვა ამ ეტაპზე დასრულდა და პროცესს გაგრძელება არ მოჰყოლია. ახლა გაუგებარი ის რჩება, რატომ არ ახსენეს პაქსასმა და ლაურინკუსმა ეს დიალოგი თავიდანვე. იმის დაჯერება, რომ ინციდენტი ორივე მათგანს, უბრალოდ, დაავიწყდა, მიამიტობა იქნება.

მით უფრო, რომ გონება მათ მხოლოდ მას შემდეგ გაუნათდათ, რაც ქვეყანაში დაჩქარებული წესით მიიღეს კანონი, რომელიც საპარლამენტო კომისიისთვის მცდარი ჩვენების მიცემის შემთხვევაში სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საეჭვოა ისიც, რომ ლაურინკუსი მსგავსი თემის შესახებ პაქსასის აზრით ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაინტერესდა. ასეთი კითხვები უშიშროების შეფს უმოტივაციოდ არ უჩნდება.

ბოლოს და ბოლოს, ექს-პრეზიდენტმა მაინც გადაწყვიტა, თავისი იმპიჩმენტი და ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს ციხეების საკითხი ერთმანეთთან დაეკავშირებინა. ეს განცხადებები არა მხოლოდ სენსაციის ფარგლებს სცილდება, არამედ უკვე სერიოზული ბრალდებებია, რომლებმაც შესაძლოა ლიტვისთვის სერიოზული შედეგები გამოიწვიოს. როლანდას პაქსასის იმპიჩმენტი მართლაც დაიწყო პრესაში ლაურინკუსის განცხადებების გავრცელებით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მთლიანად იყო დამოკიდებული თავის სპონსორ იური ბორისოვზე, რომელიც "ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა."

ყველაფრის გაანალიზებით მოვლენათა ასეთ ჯაჭვს მივიღებთ: პაქსასი ქვეყანაში ტერორისტების ჩამოყვანაზე თანხმობას არ იძლევა, ამის გამო მას გამოგონილი მიზეზით თანამდებობას ატოვებინებენ, ხდება შეთქმულების ორგანიზება და შემდეგ იმპიჩმენტი.

ეს სქემა ძალიან მარტივი ჩანს და გამოდის, რომ პაქსასის შემცვლელი ვალდას ადამკუსი ფლობდა ინფორმაციას ციხის არსებობს შესახებ და შესაბამისად გამოდის, რომ ის კომისიას ატყუებდა. თუ ეს დამტკიცდება, მაშინ ადამკუსს სისხლის სამართლის მიხედვით მოუწევს პასუხისგება ცრუ ჩვენების მიცემის გამო. მან კი ჩვენება თავის რეზიდენციაში სწორედ გასულ კვირას მისცა, ხოლო პროცესის მონაწილე ყველა ადამიანის ვინაობა და ყველა დეტალი გასაიდუმლოებულია.

საპარლამენტო კომისიის კითხვებს წერილობით პასუხი ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემაც გასცა. მისი თქმით, მან მხოლოდ გაიმეორა ის, რაც სამი თვის წინ განაცხადა. კონკრეტულად კი ის, რომ არავითარ დამატებით ინფორმაციას არ ფლობს. ამავე დროს გაუგებარი რჩება, რას ნიშნავდა პრეზიდენტის კრიტიკა, როდესაც გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ კომისია გამოძიებას მხოლოდ "ფორმალურად" ატარებს.

რამდენიმე თვის წინ გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ მას აქვს ინფორმაცია ლიტვის ტერიტორიაზე ტერორისტებისთვის განკუთვნილი ციხის არსებობის შესახებ, თუმცა გაუგებარი რჩება, საიდან უნდა ფლობდეს გრიბაუსკაიტე ასეთ ცნობებს, როდესაც 2005 წელს იგი მაღალ თანამდებობაზე არ მუშაობდა და შესაბამისად მსგავსი ფაქტი მისთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო.

ცეცხლზე ნავთი იმანაც დაასხა, რომ პრეზიდენტმა განაცხადა, წერილობით პასუხებს კომისიას მხოლოდ "ერთი მოწმის" მიერ ჩვენების მიცემის შემდეგ გაუგზავნიდა. თუკი ის პაქსასს გულისხმობდა, რომელსაც იმ დროისთვის ჩვენება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიცემული, მაშინ საიდან ჰქონდა ინფორმაცია პაქსასისა და ლაურინკუსის საიდუმლო დიალოგის შესახებ და კიდევ რა რჩება სათქმელი ამ ისტორიის ირგვლივ? ყველაფერი ბანქოს თამაშს ჰგავს, როცა ყველა მოთამაშეს კოზირი ბოლომდე უჭირავს ხელში.

მიმდინარე კვირას გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა სახელმწიფო უშიშროების ამჟამინდელმა შეფმა პოვილას მალაკუსკასმა. ოფიციალური მიზეზი ჯერ არ სახელდება, თუმცა, სავარაუდოდ, მიზეზი კომპლექსურია.

ლიტვაში სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტში სკანდალები თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მათ შორის არის დეპარტამენტის ყოფილ ოფიცერ ვიტაუტას პოციუნასის საიდუმლოებით მოცული სიკვდილიც. გადადგომის შესახებ უსაფრთხოების დეპარტამენტის შეფის განცხადება პრეზიდენტმა სეიმს დაუყოვნებლივ გადასცა. გრიბაუსკაიტე ამ უწყების დეპოლიტიზირებაზე პოსტზე მოსვლისთანავე ლაპარაკობდა.

ქვეყნის პარლამენტში აცხადებენ, რომ მოთხოვნა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდება და ეს გადადგომა ქვეყნის მთავარ სპეცსამსახურში დაწყებული რეფორმის მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება.

თუმცა ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეიმის საგამოძიებო კომისიის დასკვნაში საუბარია ლიტვაში ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს ერთდროულად ორი ციხის არსებობის შესახებ. კომისიის თავმჯდომარე არვიდას ანუშკაუსკასის განცხადებით, პარლამენტმა დასკვნა უკვე დაამტკიცა და ის უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

კომისიის დასკვნების თანახმად, პირველ საპყრობილეში პატიმრების მისაღებად ყველანაირი პირობა შეიქმნა, თუმცა საბოლოოდ შენობა არ გამოუყენებიათ. რაც შეეხება მეორე ცენტრს, პარლამენტარებმა იქ ტერორისტების ყოფნის შესახებ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება ვერ შეძლეს. თუმცა კანონმდებლები აცხადებენ, რომ დაწესებულების მუშაობა სპეცსამსახურებისთვის გასაიდუმლოებული იყო და ამერიკულ სამსახურებს შეეძლოთ, ლიტვური ინფრასტრუქტურა თავიანთი სურვილის მიხედვით გამოეყენებინათ.

რაც შეეხება იმას, იცოდნენ თუ არა ამერიკული ცენტრების არსებობის შესახებ იმდროინდელმა მაღალჩნოსნებმა, ანუშკაუსკასმა განაცხადა, რომ ეს გამორიცხული არ არის, თუმცა დადასტურებაც შეუძლებელია.

კომისია იმასაც ადასტურებს, რომ 2005-2006 წლებში ლიტვის ტერიტორიაზე ამერიკული თვითმფრინავები დაეშვნენ, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუმოწმებია. აქედან ერთ შემთხვევაში მესაზღვრეთა უფლებამოსილება შეგნებულად შეიზღუდა.

ექსპერტები და ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ლიტვურ ცენტრებს ამერიკული სპეცსამსახურები ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დასაკავებლად და გადასაყვანად იყენებდნენ.

*"ლიტოვსკი კურიერის" (ლიტვა) მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა*

# გატაცებული კოლუმბიელი გუბერნატორი მოკლული იპოვეს

მარიკა იაშვილი

კოლუმბიის სამხრეთ პროვინციის გუბერნატორი, რომელიც ორი დღის წინ გაიტაცეს, პოლიციამ მკვდარი იპოვა. ლუის ფერნანდო კუელიარი პროვინცია ფლორენსიაში მდებარე საკუთარი სახლიდან გაიტაცა კომუფლიაჟში გამოწყობილმა, შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფმა.

მისი გვამი, რომელზეც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღინიშნება, რამდენიმე საათში იპოვეს მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ განაცხადა, რომ კოკუეტას პროვინციის გუბერნატორის გასათავისუფლებლად ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

**"სამწუხაროდ, ჩვენ უნდა მივიღოთ ეს მწარე რეალობა,** - განაცხადა პროვინციის გუბერნატორის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა პატრისია ვეგამ, **- უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ეს "ფარკმა" გააკეთა."**

ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ გატაცება და მკვლელობა ამბოხებული მემარცხენე მოძრაობა "ფარკის" ნამოქმედარია. თუმცა თავად ორგანიზაცია მომხდარზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

ეს შემთხვევა ცნობილი პოლიტიკოსის ყველაზე გახმაურებული მკვლელობაა მას შემდეგ, რაც 2002 წელს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ალვარო ურიბემ დაიკავა. ურიბემ აჯანყებულებთან საბრძოლველად რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი გადადგა. სახელისუფლებო ძალებმა აჯანყებულებზე არაერთი დარტყმა განახორციელეს, რის შედეგადაც პოლიტიკოსთა მკვლელობები მნიშვნელოვნად შემცირდა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა განცხადებით, კუელიარი გატაცებიდან მალევე მოკლეს, რის გამოც გამომძიებლები ასკვნიან, რომ გატაცების მიზანი თავიდანვე გუბერნატორის მოკვლა იყო და კრიმინალები დიალოგში შესვლას არ აპირებდნენ.

გუბერნატორის სხეულზე მიმაგრებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობაც, თუმცა მისი გაუვნებელყოფა მოხერხდა და გვამის მპოვნელი არც ერთი პირი არ დაშავებულა.

არსებული ინფორმაციით, კუელიარი ბოლო 23 წლის განმავლობაში ოთხჯერ გაიტაცეს და ტყვეობაში 4-დან 7 თვემდე ჰყავდათ. გუბერნატორის ქვრივის ცნობით, მისი გათავისუფლებისთვის ყოველ ჯერზე გამოსასყიდი გადაიხადეს.

ბოევიკებსა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის წინააღმდეგობა კოლუმბიაში 1960-იანი წლებიდან გრძელდება და ქვეყნის სამხრეთ რაიონები უკვე დიდი ხანია, ფაქტობრივად, ბოევიკთა კონტროლს ემორჩილება. დაჯგუფება "ფარკში", დაახლოებით, 9 ათასი ადამიანია გაწევრიანებული.

არსებობს ინფორმაცია, რომ "ფარკის" ტყვეობაში იმყოფება კიდევ 20-მდე მაღალჩინოსანი და ასობით მძევალი, რომელთა გათავისუფლების სანაცვლოდ ბოევიკები გამოსასყიდს ითხოვენ. ასეთი რამ კოლუმბიაში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი პრაქტიკაა და ამბოხებულები ამ მეთოდს თავიანთი სალაროს შესავსებად რეგულარულად მიმართავენ, თუმცა ეს "ფარკის" შემოსავლის ერთადერთი წყარო არ არის.



ურიბეს გაპრეზიდენტების შემდეგ სახელისუფლებო ძალებმა ბოევიკებზე არაერთი დარტყმა განახორციელეს. თუმცა როგორც "ფარკი" ამტკიცებს, ისინი მთავრობის წინააღმდეგ ახალი კოლუმბიის ჩამოყალიბების და სოციალური თანასწორობის მიღწევის მიზნით იბრძვიან.

ხელისუფლება "ფარკს" ბრალს სდებს აფეთქებებში, პოლიტიკოსების მკვლელობებში, ხალხის გატაცებაში და ფულის გამოძალვაში. გარდა ამისა, მთავრობის განცხადებით, დაჯგუფება აკონტროლებს კოლუმბიურ ნარკობიზნესს.

კოლუმბიის თავდაცვის მინისტრ გაბრიელ სილვას განცხადებით, ასეთი ქმედებით ტერორისტები თავიანთი ძალის დემონსტრირებას ცდილობენ, თუმცა, მისივე სიტყვებით, ისინი რეალურად უკვე დასუსტებულები არიან და მთავრობა მათი დამარცხებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

# რევიუ

## ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი იუბილარია

1969 წლის 27 დეკემბერს უძველეს თეატრალურ ნაგებობაში, იმ სცენაზე, რომელზეც ოდესღაც დიდი ლადო მესხიშვილი თამაშობდა და, სადაც განახორციელა თავისი უბრწყინვალესი დადგმები კოტე მარჯანიშვილმა, - ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი თხზულებით "აბესალომ და ეთერი" გაიხსნა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის ქუთაისის ფილიალი. სადღეისოდ უკვე არა ფილიალი, არამედ დამოუკიდებელი - ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი არსებობის 40 ნაყოფიერ თეატრალურ სეზონს ითვლის.

მრავალფეროვანია და მრავალსახოვანი თეატრის მიერ ამ წლებში განხორციელებული საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ნუსხა. თეატრის სცენაზე თვითმყოფი, საინტერესო და ორიგინალური ხორცშესხმა ჰპოვეს ზაქარია ფალიაშვილის ოპერებმა "აბესალომ და ეთერი", "დაისი" და "ლატავრა", მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა "დარეჯან ცბიერი", ვიქტორ დოლიძის კომიკურმა ოპერამ "ქეთო და კოტე"... ოთარ თაქთაქიშვილის ოპერებმა: "მინდია" და "შერეკილები"... რევაზ ლაღიძის "ლელამ".

ქუთაისის საოპერო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ ქართველ კომპოზიტორთა ზოგიერთი ახლადშექმნილი ნაწარმოების პირველი ინტერპრეტაციის პატივი სწორედ მას ხვდა წილად. ამ თეატრის სცენაზე იხილა პირველად რამპის შუქი ბიძინა კვერნაძის ოპერამ "მედეა", გოგი ჩლაიძის ოპერამ "დარისპანის გასაჭირი", თენგიზ შავლოხაშვილის ოპერამ "თეთრი მანდილი", ვაჟა აზარაშვილის ბალეტმა "ხევისბერი". სცენიური შესაძლებლობები თეატრის ხელმძღვანელობას სითამამეს სძენდა რეპერტუარი მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუშით გაემდიდრებინა. აქ სხვადასხვა წლებში იდგმებოდა: ვ.ა.მოცარტის "ფიგაროს ქორწინება", გ.დონიცეტის "ლუჩია დი ლამერმური", ჯ. როსინის "სევილიელი დალაქი", დ.ჩიმაროზას "საიდუმლო ქორწინება", ჯ.ვერდის "ტრუბადური", "ტრავიატა" და "რიგოლეტო", ჟ.ბიზეს "მარგალიტის მაძიებელნი", პ.ი.ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინი" და "იოლანტა", ჯ. პუჩინის "ტოსკა", პ.მასკანის "სოფლის პატიოსნება", ს.რახმანინოვის "ალეკო". საბალეტო სპექტაკლები ჰერტელის "ბებია და შვილიშვილი", პ.ი.ჩაიკოვსკის "ფრანჩესკა და რამინი", ჯ. გერშვინის "ცისფერი რაფსოდია", ბიზე-შჩედრინის "კარმენ-სუიტა"...



თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის საშემსრულებლო პოტენციალს უმკაცრესი და პირუთვნელი გამოცდა აღმოჩნდა ამ თეატრის სცენაზე მსოფლიოს საოპერო ლიტერატურის ისეთი ურთულესი პარტიტურის აჟღერება, როგორიცაა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ოპერა "ფიდელიო", ამ სპექტაკლის პრემიერა ჭეშმარიტ შემოქმედებით გამარჯვებად იქცა თეატრისათვის. წარმატება ხვდა წილად გერმანიაში გასტროლების დროს და ქალაქ ბალვეში გამართულ ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალზე.

საგულისხმოა ის საყოველთაო აღიარება, რაც დაიმსახურა თეატრის ორკესტრმა და მისმა მთავარმა დირიჟორმა ირაკლი ჭიაურელმა ესპანეთის ქალაქებში საგასტროლო კონცერტების დროს.

1986, 1987 1988 წლებში ქუთაისის საოოპერო თეატრი მასპინძლობს ტრადიციულ ფესტივალს "საოპერო სცენის ოსტატები". ეს ფესტივალი გამოჩენილი მომღერლების მაყვალა ქასრაშვილისა და ზურაბ სოტკილავას ინიციატივით იმართებოდა და მასში არაერთი მსოფლიო აღიარების მქონე მსახიობი მონაწილეობდა: ირინა არხიპოვა, ელენა ობრაზცოვა, იური მაზუროკი, ალგის ჟიურაიტისი, ნინა ტერენტიევა, გალინა კალინინა, იური მოროზოვი, ირინა ბოგაჩიოვა, მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, მაია თომაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, პაატა ბურჭულაძე, ნინო ანანიაშვილი, ლიანა ისაკაძე და სხვები. საფესტივალო სპექტაკლებსა და კონცერტებში სცენის ამ გამოჩენილი ოსტატების გვერდით წარმატებით გამოდიოდნენ ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტებიც, ხოლო თეატრის ორკესტრი და გუნდი ყველა საფესტივალო ღონისძიების უცვლელი მონაწილე იყო.

თეატრთან წლების მანძილზე ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ გამოჩენილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი, დირიჟორები: რევაზ ხურცილავა, თენგიზ ჭუმბურიძე, მალხაზ კობახიძე, ცნობილი რეჟისორები დიმიტრი ალექსიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ალექსი ჭიჭინაძე, გიორგი გელოვანი, ნუგზარ ლორთქიფანიძე, აქ ხშირად ჩამოდიოდნენ და საგასტროლო სპექტაკლებს მართავდნენ აღიარებული ქართველი და უცხოელი დირიჟორები და მომღრელები.

რამოდენიმე სეზონი თეატრს სათავეში ედგა სამხატვრო ხელმძღვანელი, გამოჩენილი ქართველი მომღერალი, სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მედეა ამირანაშვილი. 2007 წლიდან შეიცვალა კანონი თეატრების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა ხელმძღვენელობის რეორგანიზაცია და შეიქმნა მმართველობითი სისტემა. ამავე წელს ოპერის თეატრში მმართველად დაინიშნა როზა დვალიშვილი. სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად ბაადურ სამადაშვილი. თეატრში ჩატარდა კონკურსი-მოსმენა ქალაქის მასშტაბით, რის შედეგადაც ოპერის თეატრში მოვიდა ახალი სახეები. 2007 წლიდან დღემდე მაყურებელმა მოისმინა ქუთაისისა და თბილისის საოპერო თეატრის სოლისტთა ერთობლივი გალა-კონცერტები, საქართველოს სამხატვრო არტისტის, პროფესსორ თენგიზ მუშკუდიანის კლასის კონცერტი ორი პრემიერა ჯ.ვერდის "ტრავიატა", რომლის დამდგმელი დირიჟორი ბაადურ სამადაშვილი გახლავთ, დამდგმელი რეჟისორი კი მაია გაჩეჩილაძე. მასკანის "სოფლის პატიოსნება" დამდგმელი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი და დამდგმელი რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე.

*"24 საათი"*

## წარსული - მომავლისთვის

40 წელი შესრულდა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დაარსებიდან. მსოფლიო თეატრის ისტორიისთვის ოთხი ათეული წელიწადი ერთი გაელვებაა, პერსონალურად ქუთაისის თეატრისთვის კი, ცხადია, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია არსებობის მანძილზე, - მუხლჩაუხრელი შრომის, პროფესიული დაოსტატების, შემოქმედებითი წინსვლის ნიშანსვეტი.

საიუბილეოდ მუდამ ფიქრობენ ხოლმე წარსულზეც და მომავალზეც. წარსულში ბევრი რამ აქვს ქუთაისის ოპერის თეატრს გასახსენებელი, ბევრი წარმატება ჰქონდა მიღწეული, პრობლემაც ბევრი იყო, თუმცა, წარსული ნამდვილად საამაყო აქვს.

მომავალს რაც შეეხება, ბევრი რამ აქვს საიმედო, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მალე შენობის განახლება უნდა დაიწყოს.

არასოდეს აკლდა მსმენელი და მაყურებელი ამ თეატრს, და ალბათ, სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება მათი რიცხვი, რასაც განახლებული შენობაც შეუწყობს ხელს და რაც უმთავრესია, შემოქმედებითი დონეც. მომავალი ხომ იმედია, უფრო ზუსტად კი, იმედების ასრულების, მიზნების განხორციელების დრო.

ეს საიუბილეო თარიღი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ქუთაისის თეატრი იმთავითვე ხომ თბილისის ოპერის თეატრის ფილიალის სახით დაარსდა და ოცი წელიწადი სწორედ ამ სტატუსით ფუნქციონირებდა. ამდენად, ეს იუბილე ჩვენთვისაც საამაყოა.

თეატრის მთელ კოლექტივს ვულოცავ საიუბილეო თარიღს, წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებ, შემოქმედებითი აღმაფრენა არ მოგკლებოდეთ და რაც უმთავრესია,- მეცენატები გიმრავლოთ ღმერთმა!

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელთა სახელით, დავით საყვარელიძე.**

## იუბილარი თეატრი

წლევანდელი წელიწადი ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისთვის საიუბილეოა - მას 40 წელი უსრულდება. ქუთაისი რომ ოდითგანვე მუსიკალური ქალაქი იყო, საყოველთაოდ არის ცნობილი, შესაბამისად, ეტაპობრივად და მიზანმიმართულად ყალიბდებოდა ოპერის თეატრის დაბადების საფუძვლები, რასაც 1969 წლის 27 დეკემბერს შეესხა ხორცი - დაარსდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ფილიალი, რომელსაც შემდგომ (1989 წლიდან) მელიტონ ბალანჩივაძის სახელი მიენიჭა და დამოუკიდებლობაც მოიპოვა. ამ დროის მანძილზე ქუთაისის ოპერის თეატრმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე არაერთი გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი მომღერალი გამოსულა, რომელთაც ჭეშმარიტი ზეიმები მოუწყვეს აუდიტორიას.

არსებობის ორმოცი წლის მანძილზე ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ასამდე საოპერო და საბალეტო დადგმა განახორციელა, რაც უდავოდ მეტყველებს რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე. და მაინც, ეს თეატრი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა ქართველი კომპოზიტორების ნაღვაწის მიმართ, რაც დაარსებისთანავე გაცხადდა და ამ კურსისთვის არასოდეს უღალატია, რაც ესოდენ დასაფასებელია.

ორმოცი წლის მანძილზე, ცხადია, იყო აღმაფრენის ხანაც და შედარებით უძრაობის ეტაპებიც, შემოქმედებითი აღმასვლებიც და უფერულობაც, მატერიალური სიდუხჭირე და შესაბამისად, ჩვეული რიტმიდან ამოვარდნაც, მაგრამ ასეთი მოვლენები ბუნებრივია, თეატრის ცხოვრება ხომ დინამიკური პროცესია.

ქუთაისის ოპერის თეატრმა უმთავრესს მიაღწია - მისი ნაღვაწი ხალხმა შეიყვარა და გაითავისა - ხელოვნების ამ კერის შემოქმედებით ცხოვრებას მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ქუთათურები. ამგვარად, ქუთაისის ოპერის თეატრის ღვაწლმა ჭეშმარიტად მამულიშვილური ღირებულება მოიპოვა.

სტაბილური მაღალი შემოქმედებითი დონის მიღწევას კომპლექსური ღონისძიებების გატარება, დიდი ძალისხმევა, მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის უზომო სიყვარული სჭირდება. მისასალმებელია, რომ სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება ქუთაისის ოპერის თეატრი, ყველაფერი კეთდება მაღალი შემოქმედებითი ავტორიტეტის აღდგენა-განმტკიცებისთვის. ამ საქმეში მხარდამჭერი კი ბევრი უნდა იყოს, - სახელმწიფოც, მეცენატებიც, თეატრის, ოპერის მოყვარულებიც და საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობა. ვიმედოვნებთ, რომ შენობის განახლებასთან ერთად, თეატრის კოლექტივი ახალ სიმაღლეებსაც დაიპყრობს და კიდევ მრავალ სიხარულს მიანიჭებს ქუთათურებსაც და ამ მშვენიერი ქალაქის სტუმრებსაც.

ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში საკუთარი წვლილი შეიტანა ქუთაისის ოპერის თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ულრმესი მადლობა. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს დაბადების მეორმოცე წლისთავს, ვულოცავთ და გვეიმედება ხელოვნების ამ კერის დიდი მომავალი, გვწამს, რომ ის კვლავაც არაერთხელ იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას.

*ზურაბ ოიკაშვილი*
*მუსიკისმცოდნე,*
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.*

## ფოლკორის ეროვნულ პრემია

დღეს, 19 საათზე, **კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით,** ფოლკლორის მხარდამჭერი ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, გაიმართება **ფოლკლორის ეროვნული პრემიის 2009 წლის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.** "ფოლკორის ეროვნულ პრემიას" ანიჭებს საქართველოს სახელწიფო ცენტრთან შექმნილი ფოლკლორის ეროვნული პრემიის მიმნიჭებელი კომისია.

პრემია გაიცემა ხალხურ შემოქმედებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატებს გადაეცემათ ფულადი პრემია 2000 ლარის ოდენობით, სპეციალური დიპლომი და ოქროს მედალი. **"24 საათი"**

## 1937 წელს რეპრესირებულ მწერალთა და ხელოვანთა მემორიალის ესკიზური პროექტის ღია კონკურსის შესახებ

დღეს, 14 საათზე თბილისის ისტორიის მუზემში (ქარვასლა) გამოვლინდება მთაწმინდის პანთეონში 1937 წელს რეპრესირებულ, უსაფლაო, ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა (ალექსანდრე ახმეტელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, პეტრე ოცხელი, ტიციან ტაბიძე, დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჯავახიშვილი) სიმბოლური საფლავის მემორიალის საუკეთესო პროექტი. 24 დეკემბერს გამარჯვებული პროექტის სახელსა და მის ავტორს გამოაცხადებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, ნიკოლოზ რურუა.

კონკურსს ახორციელებენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.

კონკურსზე წარმოდგენილი 25 პროექტიდან ერთ საუკეთესოს სპეციალური კომისია გამოავლენს. პროექტების ავტორთა ვინაობა ანონიმურია.

კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის დაწესებულია ერთჯერადი ფულადი პრემია 5.000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით

საკონკურსო პროექტები და მასალები გამოფენილია 3 დეკემბრიდან თბილისის ისტორიის მუზეუმში, რომელთა ნახვა და დათვალიერება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. **"24 საათი".**

## პერიკლეს პროექტის რესტავრაცია...

ათენის აკროპოლისი, როგორც მსოფლიოს და არა მხოლოდ საბერძნეთის კულტურული მემკვიდრეობა, ყურადღების ცენტრშია. მისი რესტავრაციის პროცესი თანმიმდევრულია და ამასთან, ისე ხორციელდება, რომ ტურიზმის განვითარებას ხელს არ უშლის.

გუშინ ათენის აკროპოლისის პროპილეების (დახურული გალერეა ორმხრივი კოლონადებით) რესტავრაცია დასრულდა. ამის შესახებ Associated Press-მა საბერძნეთის კულტურის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით გვამცნო. პროპილეების სარესტავრაციო სამუშაოები შვიდ წელიწადს გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ მუშაობისას რესტავრატორებმა ნაგებობის სახურავი დააგრძელეს და მოხსნეს წინა რესტავრაციისას გაკეთებული მეტალის ელემენტები, რომლებმაც მარმარილოზე ბზარები წარმოშვეს და ძეგლი დააზიანეს. ამისათვის სპეციალისტებმა რესტავრაცია 255 მარმარილოს ბლოკს ჩაუტარეს.

აკროპოლისის პროპილეები არქიტექტორ მნესიკლეს პროექტით ძვ.წ.აღ-ის 437-432 წლებში აიგო. მშენებლობისას უმთავრესად თეთრი მარმარილო გამოიყენეს, მისი კარები კი ნაცრისფერი მარმარილოსგან დაამზადეს. პროპილეებზე მუშაობას ათენის ორატორი და სარდალი პერიკლე ხელმძღვანელობდა. **"24 საათი".**

## გარსია ლორკას ცარიელი სამარხი

ესპანელი პოეტის, - გარსია ლორკას სამარხის გათხრები, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. სამარხი, სადაც პოეტის გვამი უნდა ყოფილიყო, ცარიელი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, იქ არ იყო ადამიანური ნეშტის არსებობის არანაირი ნიშანი, ამიტომ არქეოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღნიშნულ სამარხში არასოდეს არავინ არ ყოფილა დაკრძალული.

გათხრები ანდალუსიაში მიმდინარეობდა. იქაური ხელისუფლების განცხადებით, ქალაქ ალფაკარის მიდამოებში არქეოლოგებმა სათანადოდ შეისწავლეს მიწის 200 მეტრიანი რადიუსი, რადგან მათი ვარაუდით, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო დაკრძალული პოეტი, რომელიც 1936 წლის 19 აგვისტოს ფრანკისტებმა დახვრიტეს. წარუმატებლობის მიუხედავად, არქეოლოგები ძებნას არ წყვეტენ. ისტორიული ძეგლების დაცვა-აღდგენის ასოციაციის პრეზიდენტის, მარიბელ ბრენეს განცხადებით, კვლევაში ახალი მიზანი გაჩნდა. ამ წარუმატებლობამ კი გათხრების გაგრძელების მოტივაცია კიდევ უფრო გაზარდა. "ისინი უკეთ შეისწავლიან იმ თეორიებს რაც პოეტის სავარაუდო სამარხის ადგილებს უკავშირდება და ძებნას განაახლებენ"."**24 საათი".**

# მხოლოდ "7 ა პ" ძველი "25 ა პ"-დან

პირველი გვერდიდან

ვიცით, რომ ზოგადად დრამატურგები ითხოვენ სიზუსტეს ტექსტებთან მიმართებაში. თუმცა, ქართველ ავტორებს შორის ბუღაძე მაინც განსაკუთრებულად ითხოვს მისი საავტორო წესების დაცვას, არაერთი მისი კოლეგისგან განსხვავებით რეჟისორის მოთხოვნების თანახმად არ წერს სცენებს, დიალოგებს და სპექტაკლის შექმნის პროცესში გზადაგზა არ ასწორებს პიესას. რასაც ასე ხშირად აქვს ადგილი თანამედროვე ქართულ თეატრში, როცა რეჟისორი და დრამატურგი ერთად წერენ გარკვეულ ტექსტს და ერთმანეთს უთანხმდებიან. საერთოდაც, ლაშა ბუღაძისთვის ის ფაქტი, რომ მის პიესას დგამენ იმდენად მომხიბვლელი არ არის, რომ კომპრომისებზე წავიდეს. ტექსტების დამახინჯების, ანდა არასწორი ინტერპრეტირების გამო საყვედურებსაც ხშირად გამოთქვამს და თანაც ხმამაღლა.


ზურაბ გეწაძე

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დრამატურგი თუმანიშვილის თეატრში პრემიერამდე რეპეტიციებს ესწრება, ვფიქრობ, რეჟისორმა ზურაბ გეწაძემ ავტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზა აირჩია, თანაც ამბობენ რომ ასეთ ტანდემს ხიბლიც აქვს, მით უფრო დამწყები რეჟისორისთვის. ერთია მხოლოდ, ალბათ მსახიობები იტანჯებიან...

მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ბუღაძე რეპეტიციებს ესწრება, პრემიერამდე შთაბეჭდილებებს არ გვიზიარებს. მხოლოდ აღნიშნავს, რომ მისი აზრით, მსახიობებმა ჟანრს ჩაავლეს... "ზურას ვენდობი, იმის გათვალისწინებით თუ როგორ დადგა "მელოტი მომღერალი ქალი"." როგორც ჩანს, დრამატურგის მთავარ მოთხოვნას მაინც მიაგნეს, ანუ იმას, რომ ავტორის "აბსურდულ-პარადოქსული განსაზღვრებები არაფერს ნიშნავს და ტექსტები ისეთივე დამაჯერებლობით უნდა დაიდგას, როგორც სხვა ნებისმიერი რეალისტური ნაწარმოები." და არა ამ აბსურდის გამართლებით, ანდა აქცენტით, რომ სცენაზე მონათხრობი ამბავი არარეალისტურია და ამიტომაც იქ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა უნდა ანათებდეს, ან ანგელოზები დაფრინავდნენ, ანდა ისე იყოს ყველაფერი დამიწებული, რომ სცენაზე ძალიან კონკრეტულ პიროვნებათა კიჩადქცეული პროტოტიპები დარბოდნენ.


ლაშა ბუღაძე

თუ ზურაბ გეწაძის დადგმის შემთხვევაში ასე არ ხდება, გამოდის რომ თანამედროვე ქართული თეატრის იუმორისტული (იუმორინასეული) ჟანრის წარმოდგენა არ გველის, რადაც აბსურდიც და კომედიაც თანამედროვე ქართულ თეატრში ხშირად ქცეულა. დანარჩენი კი პრემიერებზე გამოჩნდება. მაგალითისთვის შევიტყობთ იმასაც, თუ რატომ შეარჩია რეჟისორმა მაინც და მაინც აღნიშნული, მცირე მოცულობის პიესები. 7 ამბის გაერთიანება იყო გზა ახალი ფორმის საპოვნელად? თუ უბრალოდ - იოლი გზა. ამაზე პასუხს თავად წარმოდგენა გაგვცემს. თუმცა, ალბათ ლოგიკური იქნება შეკითხვა არჩევანის შესახებ თავად რეჟისორსაც რომ დავუსვათ, ლოგიკური კი იმიტომ, რომ რეჟისორის რჩეულ ავტორს ამ ბოლო წლებშიც არაერთი კარგი და საინტერესო პიესა აქვს დაწერილი, პიესა და არა სკეჩი.

ახალ დადგმაში მონაწილეობენ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სხვადასხვა თაობის მსახიობები. ქეთი ასათიანი, მაია გელოვანი, ვანო თარხნიშვილი, ლია კაპანაძე, ლალი კეკელიძე, ნათია ფარჯანაძე, გიორგი ყიფშიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი, ეკა ჩხეიძე, თემურ ნატროშვილი. მათგან ზოგიერთი, თუნდაც ეკა ჩხეიძესა და თემურ ნატროშვილს ლაშა ბუღაძის პერსონაჟების ენა, ხასიათი და პარადოქსალურიბა აქამდეც გაუთავისებიათ. პრემიერაზე გიორგი ყიფშიძეს რეჟისორი შეცვლის, მსახიობის ავადმყოფობის გამო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რუსუდან ბოლქვაძე, რომელიც არა მხოლოდ პიესების გმირია, არამედ მთხრობელიც. ის, ვინც ამ ამბებს ერთმანეთთან დაგვაკავშირებინებს.

სპექტაკლის მხატვარია შოთა გლურჯიძე, თუმცა კოსტიუმების მხატვრობა არა მას, არამედ ნინო და სოფო ქორიძეების ნამუშევარია. იმედი ვიქონიოთ, რომ სპექტაკლის ესთეტიკას რამდენიმე მხატვრის მიერ შექმნილი სცენოგრაფია ორგანულობას არ დაუკარგავს, რაც ასე ხშირია, მაშინ როცა დადგმა მხატვრულად ერთი ავტორის მიერ არ გახლავთ გააზრებული.

# ბრაუნი ისევ ლიდერია

დენ ბრაუნის უკანასკნელი რომანი, "დაკარგული სიმბოლო", დიდი ბრიტანეთის 2009 წლის საშობაო ბესტსელერი გახდება. ამის შესახებ ინფორმაცია BBC News-მა გაავრცელა. ამ წიგნმა უკვე დაიკავა პირველი ადგილი კვირის გაყიდვებში, რომელიც 19 დეკემბერს დასრულდა და ამავე ადგილს ის, როგორც ჩანს, 25 დეკემბრამდე, კათოლიკურ შობამდეც შეინარჩუნებს.

რობერტ ლენგდონზე დაწერილი რომანი ბრაუნის მეორე წიგნია, რომელმაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დეკემბრის სადღესასწაულო გაყიდვებში პირველი ადგილი დაიკავა. 2004 წელს ანალოგიური წარმატება ხვდა წილად "დავინჩის კოდის" გამოცემას რბილ ყდაში.

ბრაუნის რომანი სექტემბერში გამოიცა და უმალ მოხსნა რამდენიმე რეკორდი: პირველ დღეს დაახლოებით მილიონი ცალი გაიყიდა. რეკორდული რაოდენობის აღმოჩნდა მისი ელექტრონულ მკითხველთა რაოდენობა და ა.შ.

"დაკარგული სიმბოლო" რუსულ ენაზე 10 დეკემბერს გამოიცა. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთის საახალწლო ჰიტი გახდება არა დენ ბრაუნის უკანასკნელი რომანი, არამედ ბორის აკუნინის "მთელი სამყარო თეატრია". ახალი რომანი ერასტ ფანდორინის შესახებ რუსეთში 22 დეკემბერს გამოიცა და მისი საწყისი ტირაჟი 500 ცალია.

ამერიკელი დენ ბრაუნი პლაგიატობასა და მორწმუნეთა შეურაცხყოფაშია დადანაშაულებული. ის 1964 წლის 22 ივნისს ექსტერში, ნიუ ჰემპშირის შტატში დაიბადა. მამამისი მათემატიკოსი იყო, ხოლო დედა მუსიკოსი. მან "ფილიპ ეკზეტერ სკულის" პრესტჟიული კერძო სკოლა და ელიტარული ამჰერსტ-კოლეჯის ბაკალავში "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" სპეციალობით დაამთავრა. 1992 წელს (კოლეჯის დამთავრებისთანავე) მუშაობა ყოფილ სკოლაში დაიწყო. 1996 წელს ჰოლივუდში ფილმებისათვის მუსიკას წერდა. ამავე წელს დაბრუნდა ნიუ ჰემპშირში და დრო ლიტერტატურას დაუთმო.




დენ ბრაუნმა პირველი ორი წიგნი საკუთარ ცოლთან - ბლაიტ ნიულონთან (Blythe Newlon) თანაავტორობით შექმნა. იუმორისტულ ნაწარმოებებს მოყვა რომანები: Digital Fortress (1996), Angels & Demons (2000), Deception Point (2001). ავტორს სახელი 2003 წელს გამოქვეყნებულმა "დავინჩის კოდმა" მოუტანა. 2009 წლის სექტემბერში რომანის ტირაჟი 81 მილიონი იყო.

დენ ბრაუნის გამოცემებთან დაკავშირებით, ბრიტანული პრესა აღნიშნავდა, რომ მის წიგნებს მკითხველები თავისთან არ იტოვებენ და ბუკინისტებს აბარებენო. ეს ავტორი პირველი აღმოჩნდა სიაში მწერლების, რომელთა გამოცემებიც საქველმოქმედო წიგნების მაღაზიათა ქსელს ყველაზე ხშირად გადაეცემოდათ. ამ რომანისთვის ბრაუნი მწერლებმა, მაიკლ ბეიჯენტმა და რიჩარდ ლიმ, 2005 წლის დეკემბერში პლაგიატობაში დაადანაშაულეს და სასამართლოში სარჩელი გამომცემლობა Random House-ის წინააღმდეგ შეიტანეს. 2006 წლის აპრილში სასამართლომ ბრაუნის ნაწარმოებები დამოუკიდებელ ნამუშევრებად ცნო და მომჩივანებს დაახლოებით სამი მილიონი ფუნტის გადახდა დააკისრა. რაც შეეხება მწერლის ოჯახურ მდგომარეობას, 1997 წელს მან ცოლად შეირთო 12 წლით მასზე უფროსი ბლაიტ ნიულსონი. მათ ორი შვილი ჰყავთ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს **ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" სარეკონსტრუქციო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" რეკონსტრუქცია**;

**2. შესრულების სავალდებულო ვადა** - 2010 წლის 01 თებერვლიდან 2010 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

3. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) და სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიის აპარატში 2010 წლის 18 იანვრის 11:00 საათიდან 2010 წლის 18 იანვრის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს და გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულ ანგარიშზე.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

დ)ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი **150 ლარის** ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" სარეკონსტრუქციო სამუშაოების (მრავალწლიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 24 დეკემბრის 09:00 საათიდან 2010 წლის 18 იანვრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **სატენდერო მოსაკრებლის (150 ლარის ოდენობით)** გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72;

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს **ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" სარეკონსტრუქციო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" რეკონსტრუქცია**;

**2. შესრულების სავალდებულო ვადა** - 2010 წლის 01 თებერვლიდან 2010 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

3. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) და სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიის აპარატში 2010 წლის 18 იანვრის 11:00 საათიდან 2010 წლის 18 იანვრის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს და გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებულ ანგარიშზე.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

დ)ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი **150 ლარის** ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, მეტრო/სადგური "დიდუბის" სარეკონსტრუქციო სამუშაოების (მრავალწლიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 24 დეკემბრის 09:00 საათიდან 2010 წლის 18 იანვრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **სატენდერო მოსაკრებლის (150 ლარის ოდენობით)** გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72;

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების კარტრიჯებისა და ტონერების (საქონლის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა ჩარიცხონ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, **რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900**, გადახდის დოკუმენტში უნდა მიეთითოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის **სხვადასხვა დასახელების კარტრიჯებისა და ტონერების (საქონლის) შესყიდვაზე** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შედეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. №72-ში, მე-2 სართული, რის შემდეგაც პრეტენდენტებს გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2009 წლის 24 დეკემბრიდან 2010 წლის 14 იანვრის 18 საათამდე;**

1. შესყიდვის ობიექტი

| ლოტი | | საქონლის დასახელება | გამზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ფაქსის აპარატი Panasonic KX 143-ის კარტრიჯი | ცალი | 25 | ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო მთლიანი საქონლის მიწოდების საბოლოო ვადა არის არაუგვიანეს 2010 წლის 1 დეკემბრამდე. | ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი №72 |
| | 2 | ფაქსის აპარატი Panasonic KX 343-ის კარტრიჯი | ცალი | 25 | | |
| | 3 | ფაქსის აპარატი Panasonic KX 773-ის კარტრიჯი | ცალი | 25 | | |
| 2 | 1 | ფერადი პრინტერი ლაზერული XEROX 6110 ტონერი | ცალი | 10 | | |
| | 2 | პრინტერ-კოპიერი XEROX M20 -ის კარტრიჯი | ცალი | 60 | | |
| | 3 | XEROX Workcentre 7328 -ის კარტრიჯი | კომპლექტი | 20 | | |
| | 4 | XEROX Workcentre 7328 -ის დრამ კარტრიჯი | კომპლექტი | 15 | | |
| | 5 | XSEROX Workcentre 5020-ის კარტრიჯი | ცალი | 15 | | |
| 3 | 1 | პრინტერი HP 5100 -ის კარტრიჯი | ცალი | 20 | | |
| | 2 | პრინტერი HP Lazer jeti-2420 -ის კარტრიჯი | ცალი | 45 | | |
| | 3 | პრინტერი HP 2300 -ის კარტრიჯი | ცალი | 50 | | |
| | 4 | ფერადი პრინტერი HP 1515N –ის კარტრიჯი | კომპლექტი | 5 | | |
| | 5 | პრინტერი HP 2605ps -ის კარტრიჯი | კომპლექტი | 10 | | |
| | 6 | ფერადი პრინტერი HP color laserjet CP1215 - ის კარტრიჯი | კომპლექტი | 15 | | |
| | 7 | ფერადი პრინტერი HP Deskjet 6943 -ის კარტრიჯი | კომპლექტი | 40 | | |
| | 8 | პრინტერი HP P1005 -ის კარტრიჯი | ცალი | 140 | | |
| | 9 | პრინტერი HP LJ 1010;1018; 1020 -ის კარტრიჯი | ცალი | 60 | | |
| | 10 | პრინტერი HP LaserJet 1200 -ის კარტრიჯი | ცალი | 15 | | |
| | 11 | HP-3500 პრინტერის კარტრიჯების კომპლექტი | კომპ | 3 | | |
| | 12 | ქსელური პრინტერის ქსეროქსის phaser 3125n | ცალი | 100 | | |
| 4 | 1 | პრინტერი CANON - LBP 2900 -ის კარტრიჯი | ცალი | 10 | | |
| | 2 | პრინტერი CANON -103/303/703 -ის კარტრიჯი | ცალი | 30 | | |
| | 3 | CANON - FC 220 (ასლგადამღები) -ის კარტრიჯი | ცალი | 20 | | |
| | 4 | ასლგადამღები აპარატი CANON-Laser Base MF3110 - ის კარტრიჯი | ცალი | 60 | | |
| | 5 | ასლგადამღები აპარატი CANON - IP 4200 -ის კარტრიჯი | კომპლექტი | 15 | | |
| 5 | 1 | პრინტერი SAMSUNG ML - 2015 -ის კარტრიჯი | ცალი | 90 | | |
| | 2 | Samsung NT C2010 Cartridge | ცალი | 20 | | |
| | 3 | ფერადი პრინტერი SAMSUNG CLP-300 -ის კარტრიჯი | კომპლექტი | 20 | | |

საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველუოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხივნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო მთლიანი საქონლის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადაა 2010 წლის 1 დეკემბრამდე.

1. საქონლის მიწოდების ადგილი ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი №72.
2. მიწოდების და გადახდის გრაფიკი, პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში;
3. ტენდერზე პრეტედენტების მიერ წარმოადგენილ უნდა იქნას, საქონლის ნიმუშები ლოტების მითითებით;
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2010 წლის 15 იანვარს 16:00 სათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2010 წლის 15 იანვარს 16:00 საათზე, შემდეგ** მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72.
5. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას (თანდართული დოკუმენტებს) თან უნდა დაურთოს მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის შესახებ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1** **იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:**
7.1.1 ამონაწერი სამეწარმეო პრეესტრიდან;
7.1.2 ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
7.1.3 ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ორგანოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
**7.2** **ფიზიკური პირებისათვის:**
7.2.1 პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი;
7.2.2 სასამართლოდან ცნობა ფიზიკური პირი ქმედუნარიანობის შესახებ;
**7.3** **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
7.3.1 ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, პრეტედენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტედენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
7.3.2 ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ - საგადასახადო ინსპექციიდან;
7.3.3 ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ – მომსახურე ბანკიდან;
7.3.4 ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან;

8. წარმოდგენილ უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდება წარმომდგენ პრეტედენტებს.
10. **პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება,**
11. **ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.**
12. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
13. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %- ის ოდენობით.**
15. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაა წინადადების წარმოდგენიდან არანაკლებ 30-დღე. ხოლო სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
16. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;
17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
18. **გრიგოლ თევზაძე 877-50-78-22; გოჩა ფიფია – 877-57-57-80; ზვიადი მანჯგალაძე 877-98-70-03; 41-24-51.**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

# განაცხადი

**სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების (საქონლის) შესყიდვაზე, ტენდერის ჩატარების განცხადებაში ცვილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიამ 2009 წლის 19 დეკემბრის გაზეთ “24 საათში” გამოქვეყნა განცხადება სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების (საქონლის) შესყიდვაზე, გამქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში განხორციედა ცვლილება და მე-5 პუქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით. კერძოდ: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2010 წლის 12 იანვარს 12:00 საათიდან 16:00 სათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2010 წლის 12 იანვარს 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N72.

2. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
3. გრიგოლ თევზაძე 877 50 78 22; გოჩა ფიფია 877 57 57 80; ზვიადი მანჯგალაძე 877 987003;

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმნიფო ორგანოდან.

# სპორტი

## ლევან კობიაშვილი: "გადარჩენისთვის ბრძოლა ჩემთვის უცხო არ არის"

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი "შალკედან" "ჰერტაში" გადავიდა. ეს ამბავი დაახლოებით ერთი კვირის წინ გახდა ცნობილი. ბერლინური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე "ჰერტას" ახალწვეულის შესახებ გამოქვეყნდა მცირე მასალა ინტერვიუსთან ერთად, რომელსაც ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ.

"ჰერტას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გუნდმა კონტრაქტი გააფორმა გამოცდილ ქართველ მცველ ლევან კობიაშვილთან. 32 წლის ფეხბურთელმა საკუთარი ხელმოწერა დასვა კონტრაქტზე და ჩვენს კლუბში, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე დარჩება.

ქართველ ვეტერანს გერმანულ ბუნდესლიგაში "ფრაიბურგისა" და "შალკეს" შემადგენლობაში 289 მატჩი აქვს გამართული. თუ "ჰერტამ" ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნა, ლევანთან არსებული კონტრაქტი ავტომატურად ორი წლით გახანგრძლივდება.

"მიხარია, რომ ლევან კობიაშვილი შევიძინეთ. მისი გამოცდილება ჩვენს მიერ დასახული მიზნების მიღწევაში დაგვეხმარება", - აცხადებს "ჰერტას" მენეჯერი მიხაელ პრეეტცი, რომელმაც კობიაშვილის შეძენის შემდეგ ვეტერან ბერძენ ფორვარდთან ტეოფინას გეკასთანაც გააფორმა კონტრაქტი.



*ლევან კობიაშვილი "ჰერტას" გადარჩენას შეეცდება*

რაღა თქმა უნდა, მოგვეცა თუ არა საშუალება, ჩვენი გუნდის ახალწვეულს გავესაუბრეთ.

**- ლევან, თქვენ შეუერთდით გუნდს, რომელიც აშკარად კრიზისშია. რატომ გადაწყვიტეთ "ჰერტაში" გადმოსვლა?**

- პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ "ჰერტა" ძლიერი გუნდია და მდიდარი ისტორია აქვს. გუნდში შეკრებილი ფეხბურთელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, "ჰერტა" უფრო მაღალ პოზიციას უნდა იკავებდეს. კონტრაქტის გაფორმებაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ დიდი ხანია მე და ჩემი ოჯახი გერმანიაში ვცხოვრობთ და კარიერის გაგრძელებაც აქ მინდოდა. ვესაუბრე მიხაელ პრეეტცს და გუნდის მთავარ მწვრთნელს ფრიდჰელმ ფუნკელს. მათ საინტერესო გეგმები აქვთ და დამარწმუნეს, რომ ღირდა კლუბთან კონტრაქტის გაფორმება.

**- რა გაფიქრებინებთ იმას, რომ "ჰერტა" ამ სეზონში ბუნდესლიგაში ადგილს შეინარჩუნებს?**

- როგორც უკვე გითხარით, კლუბი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს მის სატურნირო მდგომარეობაზე აისახება. თუ ერთ მუშტად შევიკვრებით, სასურველ მიზანს მივაღწევთ. თანაც, "ჰერტა" ახალ ფეხბურთელებს იმატებს, ტრავმირებულებიც დაგვიბრუნდებიან და ყველაფერი რიგზე იქნება.

**- რა იყო თქვენი მთავარი მოტივაცია, როდესაც გადმოდიოდით კლუბში, რომელსაც ამდენი პრობლემა აქვს?**

- "შალკეში", სადაც აქამდე ვთამაშობდი და "ჰერტაში", სადაც ახლა გადმოვედი, განსხვავებული ვითარებაა. "შალკე" სატურნირო ცხრილის სათავეშია, ბერლინური კლუბი კი გადარჩენისთვის იბრძვის. ასეთი ვითარებაში ყოფნის გამოცდილება მაქვს. გადარჩენისთვის ბრძოლა ჩემთვის უცხო არ არის. "ფრაიბურგში" ყოფნისას ანალოგიური ვითარება მქონდა. რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკეთესია, თუმცა, გამოგიტყდებით, არანაკლებ საინტერესოა ითამაშო გუნდში, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. მიზნის მისაღწევად ვარჯიშებზეც და მატჩებშიც იმაზე მეტის გაკეთება მოგვიწევს, ვიდრე შეგვიძლია.

**- და ბოლოს, როდის შეუერთდებით "ჰერტას"?**

- წლის დარჩენილ ნაწილს ჩემს სამშობლოში გავატარებ, ახალ წელსაც იქ შევხვდები, 2 იანვარს კი ბერლინში ჩამოვალ და გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს."

## კალაძის "ქალაქური" პერსპექტივა

თითქოს კალაძის ტრანსფერთან დაკავშირებული ჭორები მას შემდეგ უნდა დამცხრალიყო, რაც "მილანის" 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ქართველმა მცველმა გარკვევით განაცხადა, რომ კლუბის შეცვლას არ აპირებს. ამას ისიც დაემატა, რომ რამდენიმე დღეში იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას ადრიანო გალიანიმ აღნიშნა: "ზამთრის სატრანსფერო პერიოდში არ ვიაქტიურებთ, გუნდიდან არც ერთი ფეხბურთელი არ წავა".

მიუხედავად ამისა, სატრანსფერო პერიოდის მოახლოებასთან ერთად კალაძის შესაძლო ტრანსფერზე საუბარი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში აქტიურად გრძელდება.

სულ ცოტა ხნის წინ "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა იტალიელი რობერტო მანჩინი, რომელმაც 31 წლის ქართველი მცველის შესაძლებლობები კარგად იცის. მანჩინი "ქალაქურ" კლუბში საკუთარი მოთხოვნებით მივიდა - იტალიელს "სიტის" შემადგენლობის გაძლიერება სურს.



*კალაძეს მანჩინი "სიტიში" უხმობს*

კატენაჩოზე გაზრდილ მანჩინის, პირველ რიგში, "სიტის" დაცვის გაძლიერება უნდა. თუ ბრიტანულ და იტალიურ მედიას დავუჯერებთ, მანჩიომ კლუბის მილიარდერ მფლობელს სწორედ კალაძის ყიდვა მოსთხოვა.

ამ სეზონში კალაძეს "მილანის" ძირითადში არ ათამაშებენ და ლოგიკურია, რომ მანჩინის კალაძის გადაბირების იმედი აქვს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ "სიტის" არაბი მფლობელები ფულზე უკან არ იხევენ. ასე რომ, კალაძის სანაცვლოდ "მილანს" ალბათ სოლიდურ თანხასაც შესთავაზებენ. გამორიცხული არ არის, თავად კალაძესაც უკეთესი საკონტრაქტო პირობები შესთავაზონ, ვიდრე "მილანში" აქვს.

შექმნილ ვითარებაში გამორიცხული არ არის, კალაძემ "სიტის" წინადადება მიიღოს. ჯერჯერობით ქართველ ფეხბურთელს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. დუმილს ამჯობინებენ "მილანის" ხელმძღვანელებიც.

### ტონის დიდი არჩევანი

მაღალი დონის ფორვარდი ბევრ კლუბში დეფიციტია. თუ კლუბს კარგი მეგოლის ყიდვა უნდა, კლუბის მესვეურმა დაუნანებლად უნდა გაიკრას ჯიბეზე ხელი. ეოდა, რა გასაკვირია, რომ იტალიელ ლუკა ტონიზე ნამდვილი ტაციობა გაიმართა. მიუნხენის "ბაიერნის" ფორვარდი ლუი ვან გაალს აღარ სჭირდება. "ბაიერნს" ტონისთვის გადასახდელი დიდი ხელფასის დაზოგვა სურს და იტალიელი ტრანსფერზე დააყენეს. იმისთვის, რომ "რეკორდმაისტერმა" ტონი, რაც შეიძლება, სწრაფად მოიცილოს, "ბაიერნის" პრეზიდენტის ული ჰიონესის განცხადებით, კლუბს ტონის სანაცვლოდ ფული არ სჭირდება. ასე რომ, სატრანსფერო ბაზარზე გამოჩნდა მაღალი დონის ფორვარდი, რომლის ხელში ჩაგდება უფასოდ შეიძლება.

ტონის გადაბირება მილანის "ინტერს" სურდა. მოურინიოს ფეხბურთელი სამუელ ეტო`ოს შემცვლელად წარმოუდგენია. კამერუნელი იანვარში აფრიკის თასზე სათამაშოდ წავა და "ნერაძურის" მის გარეშე გაუჭირდება. ორი დღის წინ "ინტერს" პორტუგალიური "ბენფიკას" სახით კონკურენტი გამოუჩნდა. რუსული მედია გვიმტკიცებს, რომ ტონი რუსული პრემიერლიგის რომელიმე გუნდში აღმოჩნდება, გუშინ კი ამ სიას მერსისაიდული "ლივერპულიც" დაემატა. ბენიტესს ფერნანდო ტორესის სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს. არადა, ტრავმების გამო ესპანელი მეგოლე ამ სეზონს სტაბილურად ვერ თამაშობს. ასე რომ, ტონის შეძენა "ლივერპულისთვის" იდეალური ვარიანტია. თანაც, "ლივერპულის" ამერიკელი მფლობელები განსაკუთრებული გულუხვობით არ გამოირჩევიან და ბენიტესს ფეხბურთელების შესაძენად მწირ სახსრებს უყოფენ. ტონი კი შეიძლება გუნდს უფასოდ ერგოს.

### კაპელო დროს უქმად არ კარგავს

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე თითქმის ექვსი თვეა დარჩენილი, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი უკვე იცის, ვინ დაარტყამს პენალტებს, თუ რომელიმე თამაშში თერთმეტმეტრიანების სერია დაინიშნება.

"ბევრ დიდ ფეხბურთელს ვერ გაუტანია პენალტი მხოლოდ იმიტომ, რომ არ იყვნენ საკუთარ თავში ბოლომდე დარწმუნებულნი. მე უკვე ვიცი ის ფეხბურთელები, რომლებიც სხვებზე უკეთ ასრულებენ თერთმეტმეტრიანებს. თუმცა, თავად იმ დროს, როდესაც პენალტები იქნება შესასრულებელი, ფეხბურთელებზე ზეწოლა გაორმაგებული იქნება. ვარჯიშისას კარი დიდია, მეკარე კი - პატარა, ხოლო თუ შენს დარტყმაზე დამოკიდებულია მსოფლიო ჩემპიონის ბედი, კარი საოცრად პატარავდება, მეკარე კი გიგანტურ ზომებს იღებს. ძნელია გაიტანო ასეთი წნეხის ქვეშ, თუმცა, ჩემს გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც ამ წნეხს გაუძლებენ და, როგორც გითხარით, მე ვიცი, ვინ არიან ეს ფეხბურთელები," - აცხადებს კაპელო.

### კრიშტიანუს ოცნება

ალბათ ძნელია იყო "რეალის" ფეხბურთელი და მშვიდად უყურებდე, როგორ იგებს ყველა საკლუბო ტიტულს "ბარსელონა" და ყველა ინდივიდუალურ ჯილდოს - კატალონიური კლუბის არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი. კიდევ უფრო ძნელი უნდა იყოს, თუ შენ "სამეფო კლუბმა" რეკორდულ ფასად გიყიდა სწორედ იმისთვის, რომ "ბარსას" ჰეგემონია დაამხო და შენს თვალწინ "ბარსელონას" ვარსკვლავი სწორედ იმ ტიტულს მოიგებს, რომელიც ერთი წლის წინ შენ გქონდა მოგებული.

მოკლედ, წესით და რიგით, კრიშტიანუ რონალდუს "ბარსელონაზე" ჯავრის ამოყრის დიდი სურვილი უნდა ჰქონდეს. პორტუგალიელს პირველ კლასიკოში ეს არ გამოუვიდა. რა იქნება "სანტიაგო ბერნაბეუზე" გასამართ რიგით კლასიკოში, არავინ იცის, თუმცა, ამ სეზონმა შესაძლოა ერთით მეტი კლასიკო გვაჩუქოს, რომელსაც მადრიდის "რეალის" ლეგენდარული სტადიონი უმასპინძლებს. ამისთვის საჭიროა, რომ "ბარსა" და "რეალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ. ფინალს სწორედ "სანტიაგო ბერნაბეუ" მასპინძლობს. კრიშტიანუ რონალდუც თურმე ამ თამაშზე ოცნებობს.

"ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში "რეალი" და "ბარსელონა" გავიდნენ და "სანტიაგო ბერნაბეუზე", სეზონის მთავარ მატჩში დავამარცხო კატალონიელები", - უთხრა რონალდუმ ჟურნალისტებს.

### დუნგას რჩევა

ტურინის "იუვენტუსის" წარუმატებელ თამაშს ხშირად ამ კლუბის ორ ახალწვეულ ბრაზილიელს - დიეგოს და მელოს აბრალებენ. როგორც ჩანს, ეს არ მოეწონა პენტაკამპეონების მთავარ მწვრთნელს კარლოს დუნგას, რომელმაც ტურინული კლუბის მესვეურებს რჩევა მისცა.

"თუ ვინმეს შეცდომებზე ვსაუბრობთ, ბრაზილიელები არაფერ შუაში არ არიან. ისინი ვითარების მსხვერპლის როლში აღმოჩდნენ. როდესაც მელო ნაკრებშია გამოძახებული, ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობს. მას და დიეგოს, ცხადია, აქვთ პრობლემები, რომლებიც ადაპტაციას უკავშირდება, თუმცა, პირადად მე მთავარი მიზეზი სხვა რამ მგონია. მელოს და დიეგოს "იუვენტუსში" მათთვის ჩვეულ პოზიციებზე არ ათამაშებენ. საკმარისია ტურინული გუნდის მწვრთნელმა ამ ფეხბურთელებისგან ჩვეულ პოზიციაზე თამაში მოითხოვოს და ყველაფერი წესრიგში იქნება", - აცხადებს დუნგა.

### ლიპიმ ფავორიტები დაასახელა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თავისი მოსაზრება გამოთქვა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე.

"მომავალი ექვსი თვის განმავლობაში იტალიის ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების შანსი ნებისმიერს აქვს. მთავარია ფეხბურთელებმა დაამტკიცონ, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ. რაც შეეხება თავად მუნდიალს, მთავარ ფავორიტებად ესპანეთი და ბრაზილია მიმაჩნია. შემდეგ მოდიან იტალია, გერმანია, არგენტინა, ინგლისი, საფრანგეთი და ჰოლანდია. ყველა ეს გუნდი სამხრეთ აფრიკაში ოქროს მედლების მოსაგებად ჩადის", - აცხადებს ლიპი.

### დელ ბოსკე - 2012 წლამდე

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელა და ევროპის ჩემპიონებს 2012 წლამდე უხელმძღვანელებს. დელ ბოსკემ ესპანეთის ნაკრები სწორედ ევრო 2008-ზე ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ ჩაიბარა და გუნდი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპროცენტიანი მაჩვენებლით გაიყვანა. ესპანეთის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული 22 მატჩიდან 21 მოიგო.

### რკინის ჩეხს "იუვეში" აბრუნებენ

ორიოდე დღის წინ ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა გუნდის მთავარ მწვრთნელს ჩირო ფერარას ულტიმატუმი წაუყენეს. თუ "ბებერი ქალბატონი" სერია ა-ს მომდევნო ორ მატჩს არ მოიგებს, ჩირო ფერარას თანამდებობის დატოვება მოუწევს. არადა, ტურინელებს ორი ურთულესი მატჩი ელით ჯერ "პარმასთან" და შემდეგ "მილანთან". შესაბამისად, დიდია ალბათობა, რომ "იუვემ" ქულები დაკარგოს, ფერარამ კი - თანამდებობა.

იტალიური მედია ჩირო ფერარას შემცვლელად მოიხსენიებდა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გუს ჰიდინკს, რომელიც უკვე იყო ტურინში და მოლაპარაკებაც გამართა კლუბის პრეზიდენტ ჟან-კლოდ ბლანთან, თუმცა ჰოლანდიელი ძვირად ღირებული მწვრთნელია და "იუვენტუსს" მის მოსაწვევად საჭირო ფული არა აქვს. ასე რომ, ჰიდინკის კანდიდატურა გამოირიცხა. სამაგიეროდ უკვე სახელდება ახალი გვარი.

საუბარია 37 წლის ჩეხ პაველ ნედვედზე, რომელმაც "იუვენტუსის" შემადგენლობაში 8 შესანიშნავი სეზონი (2001-09 წლები, 244 მატჩი, 51 გოლი) ჩაატარა და საფეხბურთო კარიერა მხოლოდ გასულ ზაფხულს დაასრულა.

პოპულარული იტალიური გამოცემა "გაძეტა დელო სპორტი" გვარწმუნებს, რომ სწორედ ნედვედი დაიკავებს "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს.

გასულ ზაფხულს, როცა ჩირო ფერარა "იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, თანაშემწის პოსტი მან სწორედ ნედვედს შესთავაზა, მაგრამ ჩეხმა ყოფილი თანაგუნდელის წინადადება არ მიიღო.

### ჯეკოს "მილანში" გადასვლა სურს

ბოსნიელმა ფორვარდმა ედინ ჯეკომ აღნიშნა, რომ "მილანში" გადასვლა სურს.

გერმანული "ვოლფსბურგის" თავდამსხმელი შესაძლოა გასულ ზაფხულს გადასულიყო "როსონერიში", თუმცა მაშინ ტრანსფერი ჩაიშალა, ახლა კი გარიგება შესაძლოა შედგეს. "ისტორია "მილანთან" ჯერ კიდევ არ დასრულებულა. "ვოლფსბურგის ხელმძღვანელობას უკვე ვუთხარი, რომ "მილანში" გადასვლა მინდა. ყოველთვის ამ კლუბის გულშემატკივარი ვიყავი და მინდა ივლისში როსონერის ფეხბურთელი გავხდე," - განაცხადა ბოსნიელმა მიცემულ ინტერვიუში. ფეხბურთელით, როსონერის გარდა, "მანჩესტერ იუნაიტედიცაა" დაინტერესებული. ედინ ჯეკოს ფასი დაახლოებით 30 მილიონი ევროა.

### მიკოლი ორ თვეს დაისვენებს

"პალერმოს" ლიდერი ფაბრიციო მიკოლი ორ თვეს ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. ფეხბურთელმა "სიენასთან" მატჩში მიიღო ბარძაყის ტრავმა. სიცილიური კლუბის მესვეურთა თქმით, ტრავმა სერიოზულია.

"ფაბრიციომ კუნთი მძიმედ დაიზიანა. სამწუხაროდ, ორი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას, რაც "პალერმოსთვის" დიდი დანაკლისი იქნება. ის შესანიშნავ ფორმაში იყო და მიმდინარე სეზონში ჩვენს აქტივში არსებული ქულების უმრავლესობა სწორედ მისი ფანტასტიკური თამაშის ხარჯზე მოვიპოვეთ. იმედი გვაქვს, დაბრუნების შემდეგ ის ისევ ძველებურად ათამაშდება", - აღნიშნულია კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

### ბოსნიური სია

სულ ცოტა ხნის წინ თანამდებობა დატოვა ბოსნია-ჰერცეგოვინის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა.

ბოსნიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მაღალ დონეზე ჩაატარეს, პლეი-ოფშიც გავიდნენ, მაგრამ იქ პორტუგალიური ბარიერი ვერ დაძლიეს. წესით, ასეთი შედეგი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩათვლილიყო და ბოსნიის ფეხბურთის ფედერაცია ბლაჟევიჩთან ურთიერთობის გაწყვეტას არც აპირებდა, მაგრამ გამოცდილმა სპეციალისტმა თავად თქვა უარი ნაკრებში მუშაობის გაგრძელებაზე და ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ მან გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა.

ამის შემდეგ ბოსნიელებმა ახალი მთავარი მწვრთნელის მოძიებაზე დაიწყეს ზრუნვა და, მათი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ილიო დომინკოვიჩის თქმით, სავარაუდოდ, ახალ დამრიგებელს 29 დეკემბერს დანიშნულ სხდომაზე აირჩევენ. დომინკოვიჩმა მასმედიელებს ნაკრების გაძღოლის კანდიდატთა სიაც წარუდგინა: სერგეი ბარბარესი, სრეჩკო კატანეცი, ლიუპკო პეტროვიჩი, დუშან ბაევიჩი, საფეტ სუშიჩი, ფარუკ ხაჯიბეგიჩი.

# ფაჩულიამ "მგლებს" ოთხი ქულა ჩაუგდო

გუშინ, გამთენიისას, "ატლანტა ჰოუქსმა" NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი მატჩი გამართა. ამჯერად ჯორჯიელები მინესოტას ეწვივნენ და ადგილობრივ "მგლებს" დაუპირისპირდნენ.

შეხვედრა "ქორების" სრული უპირატესობით წარიმართა. ატლანტელებმა მეტოქე უშანსოდ დატოვეს და ანგარიშით 112:87 დაამარცხეს. თუმცა, ამ გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა ვერ გაიუმჯობესეს, რადგან წინა დღეებში, როდესაც "ატლანტა" ისვენებდა, კონკურენტებმა ითამაშეს და მორიგი გამარჯვებები მიითვალეს. ამრიგად, აღმოსავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილში "ბოსტონის", "კლივლენდისა" და "ორლანდოს" შემდეგ "ქორები" მეოთხე ადგილზე არიან.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, "მგლებთან" შეხვედრაში ქართველს სათამაშოდ მხოლოდ 19 წუთი მისცეს. დროის ამ მონაკვეთში ჯორჯიელთა ქართველმა ცენტრმა 4 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა, თუმცა, ამჯერად შესაძლოა მეტიც ეთამაშა, 6 პერსონალურის გამო ვადაზე ადრე რომ არ დაეტოვებინა მოედანი. მიმდინარე სეზონში ზაზას საშუალოდ 15 წუთს აძლევენ სათამაშო დროს და მისი შედეგიანობა 5.5 ქულა და 3.4 მოხსნაა.

მომდევნო მატჩი "ატლანტას" დღეს, გამთენიისას, დენვერში უნდა გაემართა. აღსანიშნავია, რომ "მგლებთან" შეხვედრაში ატლანტელთა ძირითადი ხუთეულის ყველა კალათბურთელმა დაძლია ათქულიანი ბარიერი.



ზაზა ფაჩულია

22 დეკემბერს უნდა შემდგარიყო გიორგი ცინცაძის დებიუტი უკრაინული "დონეცკის" შემადგენლობაში. კვირაზე მეტია, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი დონეცკშია, კონტრაქტი კი სამი დღის წინ გაფორმდა. ამრიგად, "ბკ დონეცკისა" და "ნიკოლაევის" მატჩში, რომელიც 22 დეკემბერს უნდა გამართულიყო, გიორგის თამაშის უფლება ჰქონდა, მაგრამ დონეცკში დიდთოვლობაა და ეს მატჩიც გაურკვეველი ვადით გადაიდო.

# ITF-მა წლის ქალ-ვაჟი დაასახელა

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) მიმავალი წლის საუკეთესო ქალ-ვაჟ ჩოგბურთელებად გამოარჩია მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი და სერენა უილიამსი.



ITF-ის რჩეულები: როჯერ ფედერერი და სერენა უილიამსი

შვეიცარიელისთვის, რომელმაც წლეულს კარიერაში პირველად გაუსინჯა გემო უმთავრეს თიხნარ კორტს - "როლან გაროს" და მას ზედ უიმბლდონიც დაურთო, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან მეხუთედ ერგო პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდება. დიდი სლემის სერიათა ტურნირებზე მოგებათა რაოდენობით ფედერერმა წლეულს რეკორდი დაამაყარა.

"დიდი პატივია, როდესაც ITF-ის ვერსიით მეხუთედ გასახელებენ მსოფლიო ჩემპიონად. მიმდინარე სეზონი ჩემთვის ფანტასტიკური გამოდგა როგორც კორტზე, ისე მის მიღმა. მეტად მნიშვნელოვანი იყო, წელიწადი ATP რეიტინგის სათავეში დამესრულებინა", - 28 წლის როჯერს ციტირებს GoTennis.

წლეულს დიდი სლემის ორი ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი მოიგო სერენა უილიამსმაც. საერთაშორისო ფედერაციისგან ასეთი აღიარება ამერიკელისთვის მეორეა. სერენა უფროს დასთან, ვინუსთან ერთად, 2009 წლის შედეგების გათვალისწინებით, მსოფლიოს საუკეთესო ტანდემად აღიარეს. ერთი სიტყვით, უმცროსი უილიამსი გახდა მეორე ჩოგბურთელი, რომელსაც საუკეთესოს წოდება მიანიჭეს როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში. ასეთი შედეგით აქამდე მხოლოდ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი თუ დაიკვეხნიდა, რომელსაც 1999 წლის სეზონში საუკეთესოს წოდება მიენიჭა ერთეულთა და წყვილთა თანრიგში.

ვაჟებში საუკეთესოდ, ამასთან მეექვსედ, აღიარეს ძმების - ბობ და მაიკ ბრაიანების წყვილი, რაც, თავის მხრივ, რეკორდული მაჩვენებელია.

ITF-ის ვერსიით საუკეთესო ჩოგბურთელი ვლინდება ობიექტური სისტემის თანახმად, სადაც, "დიდი სლემისა" და ATP და WTA ტურნირების გარდა, გათვალისწინებულია ის შეჯიბრებებიც, რომლებიც ITF-ის ეგიდით ტარდება - ვაჟებში დევისის თასი და ქალებში ფედერაციის თასი.

# ზიზუს აღსარება

თითქმის ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში თანამედროვეობის უდიდესმა ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანმა იტალიელ მარკო მატერაცის ურქინა. ზიდანი მინდვრიდან გააძევეს, იტალიამ კი პენალტების სერიაში საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო.

იმ ავადსახსენებელ ინციდენტზე დღემდე საუბრობენ, ამ თემაზე უამრავი რამ დაიწერა და ითქვა, მარკო მატერაციმ წიგნიც კი გამოუშვა. ახლახან ზინედინ ზიდანმა France Football-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კიდევ ერთხელ გაიხსენა მომხდარი და მოინანია.



ზიდანი მატერაცის წინააღმდეგ

ზიზუმ უკვე რამდენჯერმე მოიხადა ბოდიში, თუმცა, ის, რაც ფრანგული ფეხბურთის ალჟირელმა ლეგენდამ France Football-ს უთხრა, სიახლეა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელ ხანს მომხდარი მოვლენების ჭრილში.

"საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებდი და მშვიდად ვერ ვიცხოვრებდი, იმ ინციდენტის გამო რომ არ დავსჯილიყავი და საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოეგო. ჯიჯი ბუფონი სწორად მოიქცა, როდესაც მსაჯს ამ დარღვევაზე მიუთითა, რადგან ჩემს საქციელს გამართლება არა აქვს. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრებდი ამ ტვირთით, მინდორზე რომ დავრჩენილიყავი და ფინალი მოგვეგო", - ამბობს ზიდანი.

რა მიზეზით ურქინა ზიზუმ მატერაცის, უკვე ცნობილია - იტალიელმა ზიდანის ოჯახს მიაყენა შეურაცხყოფა. უცნობია მხოლოდ ის, თუ რატომ გაიხსენა ზიზუმ ეს ინციდენტი ახლა.

თანაც, ამბობს, რომ მისთვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც კი მძიმე ტვირთი იქნებოდა, ინციდენტს შეუმჩნევლად რომ ჩაევლო.

ზიდანის ამ სიტყვების შემდეგ ძალაუნებურად გახსენდება საფრანგეთ-ირლანდიის მატჩი, რომელშიც ანრიმ ხელით ითამაშა. ეს მსაჯმა ვერ დაინახა და სწორედ ამის წყალობით მოახერხა საფრანგეთის ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება. ანრიმაც მოიხადა ბოდიში, თუმცა, არ უთქვამს, რომ ეს ინციდენტი მას მძიმე ტვირთად დააწვება. მეორე მხრივ, კაცმა არ იცის, რას იტყოდა თავად ზიდანი, ოთხი წლის წინ მსაჯს რომ ის მოედნიდან არ გაეძევებინა და ფრანგებს მუნდიალი მოეგოთ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვადასხვა ზომის საბურავების (საქონლის თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვაზე" და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

